# შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№3(9.913)

22-29თებერვალი 2020 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


## „მეორედ მოსვლა“ ქართულ პოლიტიკაში

გვ.3



## კანონპროექტი – რა იცვლება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის?

გვ. 4



## „ვეტერინარია სერიოზულ პასუხისმგებლობას მოითხოვს“...

გვ. 5



# ინფრასტრუქტურული სამუშაოები აქტიურ ფაზაშია



დედოფლისწყაროში წელს რამდენიმე მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებაა დაგეგმილი. დასრულდება ორი საბავშვო ბაღისა და ზემო მაჩხაანის სკოლის მშენებლობა, მოხდება სოფლებთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია. სულ განხორციელდება 56 პროექტი, 14 მილიონ ლარზე მეტი ღირებულებით საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდის, სოფლის მხარდაჭერის დახმარების პროგრამითა და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით.

**სოფელ ხორნაბუჯს** საბავშვო ბაგა-ბაღის ახალი შენობა ექნება. მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტი უკვე დაწყებულია და ის ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე დასრულდება. მიმდინარე მშენებლობა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა **ნიკოლოზ ჯანიაშვილმა** ხორნაბუჯში მერის წარმომადგენელთან, მერაბ მაძღარაშვილთან ერთად დაათვალიერა.

ხორნაბუჯის ახალი, თანამედროვე სტანდარტების ბაღი სოფელ ხორნაბუჯისა და ჭოეთის დასახლების აღსაზრდელებისთვისაა გათვლილი . საბავშვო დაწესებულებაში მომავალი თაობის ღირსეული აღზრდისთვის ყველა პირობა იქნება შექმნილი.

პროექტს მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს და მისი ღირებულება 865 999 ლარს შეადგენს.

**დედოფლისწყაროს ცენტრალური სტადიონის** სარეაბილიტაციო სამუშაოები დასკვნით ეტაპზეა. ინფრასტრუქტურული პროექტი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა ,,NPARD 2-ის”“ დედოფლისწყაროს პროექტის ხელმძღვანელთან, ბუბა ჯაფარლისთან ერთად დაათვალიერა.

სამუშაოების ფარგლებში უკვე აშენდა კალათბურთის მინი სტადიონი, დამონტაჟდა სპორტული ტრენაჟორები, ასევე სრულიად განახლდა სტადიონის ადმინისტრაციული შენობა, მათ შორის, მოეწყო სველი წერტილები და სხვა.

დედოფლისწყაროს ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაციას მუნიციპალიტეტის მერია და ,,NPARD-2“ ერთობლივად ახორციელებს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიისა და ,,NPARD-2“-ის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, დედოფლისწყაროს **მხარეთმცოდნეობის მუზეუმის** რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

ინფრასტრუქტურული სამუშაოები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა ,,NPARD 2-ის”“ დედოფლისწყაროს პროექტის ხელმძღვანელთან, ბუბა ჯაფარლისთან ერთად დაათვალიერა.

პროექტი ითვალისწინებს მუზეუმის ნაწილობრივ რეაბილიტაციას. სამუშაოების ფარგლებში მოეწყობა ოთახები, გარე ეზო და სველი წერტილები.





C M Y K

# გიორგი გახარია ოქტომბერში განხორციელებულ კიბერთავდასხმას აფასებს

საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ ოქტომბერში განხორციელებული კიბერთავდასხმა მიზნად ისახავდა ჩვენი სუვერენიტეტისადმი ძირის გამოთხრას, — ასე ეხმაურება საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია საქართველოში გასული წლის ოქტომბერში განხორციელებულ კიბერშეტევას სოციალურ ქსელ „ტვიტერის“ ოფიციალურ გვერდზე.

საქართველოს მთავრობის მეთაური დასავლელ პარტნიორებს, მათ შორის აშშ-ის სახელმწიფო მდივან მაიკ პომპეოს და გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივან დომინიკ რააბს საქართველოს ძლიერი მხარდაჭერისთვის მადლობას უხდის.

„გასული წლის ოქტომბერში საქართველოს სახელმწიფომ, მედიამ და ბიზნეს-სუბიექტებმა სრულიად უგუნური კიბერთავდასხმა განიცადეს. ეს შეუწყნარებელი აქტი მიზნად ისახავდა ჩვენი სუვერენიტეტისადმი ძირის გამოთხრას. დიდად ვაფასებთ მთელი მსოფლიოს მასშტაბით ჩვენი პარტნიორებისა და მოკავშირეების ძლიერ მხარდაჭერას“, — წერს გიორგი გახარია „ტვიტერის“ ოფიციალურ გვერდზე.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში დღეს განაცხადეს, რომ 2019 წლის ოქტომბერში საქართველოში კიბერშეტევა რუსეთის შეიარაღებული ძალების გენშტაბმა განახორციელა.

აღნიშნულს გამოეხმაურა აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო. მის განცხადებაში ნათქვამია, რომ აშშ გმობს რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ კიბერშეტევას და მოუწოდებს რუსეთს, შეწყვიტოს მსგავსი ქმედებები. ფაქტს ასევე გამოეხმაურნენ ბრიტანეთის და კიდევ რამდენიმე ქვეყნის საგარეო უწყებები.

საქართველოში მასშტაბური კიბერშეტევა 2019 წლის 28 ოქტომბერს განხორციელდა. პრობლემები შეექმნა ასობით საიტს, მათ შორის, საქართველოს პირველი არხის ვებპორტალს და შიდა ქსელს. დროებით შეფერხდა საქართველოს რადიოს მაუწყებლობა. ასევე, გაითიშა რამდენიმე ტელევიზია და სხვადასხვა ვებპორტალი.

კიბერშეტევა განხორციელდა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ვებგვერდზეც. ვებგვერდების გახსნისას ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ფოტო გაჩნდა, წარწერით — „მე დავბრუნდები“ (I'll be back).

# საქართველოს ევროპაში ახალი ელჩები ჰყავს

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოში სოფიო ქაცარავა, საბერძნეთის რესპუბლიკაში დავით დონდუა, ხოლო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ლევან იზორია დაინიშნა. აღნიშნულ ინფორმაციას საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

“**სოფიო ქაცარავა** გახლდათ 2016-2019 წწ. საქართველოს პარლამენტის წევრი, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტში გაერთიანებულ სამეფოსთან მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელი, ასევე გაერთიანებულ სამეფოსთან უორდროპის სტრატეგიული დიალოგის საპარლამენტო მიმართულების ხელმძღვანელი. სოფიო ქაცარავას 2016 წელს მიენიჭა დედოფალ ელისაბედ II-ის ჯილდო, 1998 წლიდან 2016 წლამდე სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობდა საქართველოში დიდი ბრიტანეთის საელჩოში.

**დავით დონდუ**ა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში 1993 წლიდან სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა. 2015-2018 წწ. გახლდათ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ხოლო საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში სხვადასხვა ხელმძღვანელ პოზიციებს იკავებდა, კერძოდ: აშშ-ში, კანადასა და მექსიკაში საქართველოს საელჩოში საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის თანამდებობაზე; გახლდათ ნატოსთან საქართველოს წარმომადგენელი, ასევე ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასა და ვენაში განლაგებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი. 2008—2014 წლებში დავით დონდუა საქმიანობდა საქართველოს პარლამენტში, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში. მას, 2001 წელს, მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

**ლევან იზორია** 2012-2015წწ. იკავებდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის თანამდებობას; 2015-2016წწ. გახლდათ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე; 2016-2019წწ. დაინიშნა საქართველოს თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე; ხოლო 2019-2020წწ. იკავებდა საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსის პოსტს. ლევან იზორიას მინიჭებული აქვს სამართლის მაგისტრის წოდება, ასევე სამართლის დოქტორის ხარისხი”, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

# დეოკუპაცია დროის ამბავია...

*ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ვიგებთ, რომ ქართულ-აფხაზური დაპირისპირება აფხაზეთში და შემდგომ შეიარაღებული კონფლიქტის ინსპირირება თითქმის ბოლო 100 წლის მანძილზე მზადდებოდა. ის თავიდან ბოლომდე ჯერ ცარისტული, შემდგომ — ბოლშევიკური და ბოლოს დემოკრატიული რუსეთის “შემოქმედება” იყო. რუსეთის იმპერიამ შეძლო საუკუნეების მანძილზე არსებული, ჩამოყალიბებული ქართულ-აფხაზური ისტორიული ერთობის მოშლა. აფხაზების სეპარატისტული გამოსვლები ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ 1917 წლიდან დაიწყო. 1918-21 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ და იმჟამინდელმა აფხაზურმა პოლიტიკურმა ელიტამ მოახერხეს საერთო ენის გამონახვა და კრიზისის აღმოფხვრა. აფხაზეთს ოფიციალურად მიენიჭა ავტონომიური სტატუსი.1921 წლის თებერვალ-მარტში ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამ და ქვეყნის ნაძალადევმა გასაბჭოებამ ერთბაშად წყალში ჩაყარა ქართულ-აფხაზური ერთობის გზაზე მიღწეული წარმატებები.რუსმა ბოლშევიკებმა და მათ მიერ დამუშავებულმა სეპარატისტულად განწყობილმა აფხაზმა კომუნისტებმა, ქართველი ბოლშევიკი ლიდერების, პირადად, ი. სტალინისა და ს. ორჯონიკიძის წაყრუებით, აფხაზეთი ჩამოაცილეს დანარჩენ საქართველოს და დამოუკიდებელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოაცხადეს. მოგვიანებით, იგივე სტალინი და ორჯონიკიძე მიხვდნენ ამ გადაწყვეტილების აბსურდულობას და აფხაზეთის სსრ-ის საქართველოს სსრ-სთან გაერთიანების საკითხი დააყენეს, რაც მალე, 1921 წლის დეკემბერში განხორციელდა კიდეც, როდესაც “საქართველოს სსრ-სა და აფხაზეთის სსრ-ს შორის სამოკავშირეო ხელშეკრულება” დაიდო. 1931 წელს აფხაზეთი ოფიციალურადაც გამოცხადდა ავტონომიურ რესპუბლიკად საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში და ამ სტატუსით მოვიდა 1992 წლამდე.*

*აფხაზეთიცა და ცხინვალის რეგიონიც კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთით მდებარეობს და რუსეთთან მათი სატრანსპორტო კავშირი (განსაკუთრებით, ცხინვალის შემთხვევაში) ყოველთვის გარანტირებული არ არის, მით უფრო ზამთარში. ორივე რეგიონის მოსახლეობა მცირეა, ორივეგან არის ქართული კომპონენტი და არაქართული კომპონენტის რუსეთისადმი ლოიალობაც არ არის გარანტირებული. ეთნიკური რუსების რაოდენობა ორივეგან ძალიან მცირეა. საერთაშორისო სამართლებრივად, რუსეთის პრეტენზიები ამ რეგიონებზე უკიდურესად სუსტია.*

ამ დღეებში ცნობილი ხდება , რომ ცხინვალის დე ფაქტო რესპუბლიკა პროდუქციის დეფიციტის ზღვარზეა უკვე ორი კვირაა, ცხინვალელ მეწარმეებს რუსეთის ფედერაციიდან ოკუპირებულ ტერიტორიაზე პროდუქტები ვერ შეაქვთ. რუსმა მებაჟეებმა ისინი ქვემო ზარამაგის სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე შეაჩერეს და ტვირთებზე შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმება მოითხოვეს. რუსეთის მებაჟეები ცხინვალისკენ მიმავალ ტვირთებზე ითხოვენ ევრაზიული საბაჟო კავშირის შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმებას, ცხინვალელი მეწარმეები კი ირწმუნებიან, რომ ამის გაკეთება შეუძლებელია, რადგან დე ფაქტო რესპუბლიკის ბაზარი და მოსახლეობა იმდენად მცირეა, რომ იქ მხოლოდ მცირე რაოდენობის პროდუქცია შედის, ზოგიერთ მანქანაში ხანდახან ასამდე დასახელების პროდუქტია და მათზე სათითაოდ ვერ გაფორმდება ვერც წარმომავლობის სერტიფიკატი და ვერც ექსპორტის დოკუმენტაცია. 11 თებერვალს შეწუხებულმა მეწარმეებმა ცხინვალის ცენტრში მოიყარეს თავი, რომ ადგილობრივი ხელისუფლებისთვის დახმარება ეთხოვათ, მაგრამ მათ მხოლოდ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები შეხვდნენ. ბიზნესმენები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ ბიბილოვის ხელისუფლება ტვირთების გადაადგილებისას წარმოქმნილ პრობლემებს რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებასთან ვერ აგვარებს. უკვე წლებია, ცხინვალელ ბიზნესმენებს ეს პრობლემები აწუხებთ და საბაჟო რეჟიმის პერიოდული შერბილება თუ ხდება, საერთო ჯამში, ეს ვერ ხსნის პრობლემას. დე ფაქტო რესპუბლიკის პარლამენტის წევრი, ალან ალბოროვი, რადიო თავისუფლების რუსულენოვან პროგრამა „ეხო კავკაზასთან“ საუბარში აცხადებს, რომ ამ პრობლემის მოგვარება კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანით არის შესაძლებელი, მაგრამ ეს კანონმდებლობა ევრაზიული კავშირის ქვეყნების მიერ არის მიღებული და იქ ცვლილებების ასახვა მარტივად არ ხდება. ცხინვალელ მეწარმეებს დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებიც შეხვდნენ, თუმცა, როგორც ოპოზიციონერი დეპუტატი დავით სანაკოევი იუწყება, მეწარმეების პრობლემების ოპერატიულად მოგვარება ბიბილოვის ხელისუფლებას არ შეუძლია. ცხინვალელი იურისტი, წარსულში დე ფაქტო რესპუბლიკის საბაჟოს თანამშრომელი თემურ კოკოითი, „ეხო კავკაზასთან“ საუბარში აცხადებს, რომ საკანონმდებლო დონეზე ამ პრობლების მოგვარება შეუძლებელია და მხოლოდ არაფორმალური გზებით შეიძლება საკითხის გადაჭრა. მისი თქმით, წინა ხელისუფლება ამას წარმატებით ახერხებდა რუსეთის საბაჟო სამსახურის მაღალჩინოსნებთან არაფორმალური კავშირების დამყარებით. კონფლიქტოლოგი ზურაბ ბენდიანაშვილი „რადიო თავისუფლებასთან“ საუბარში აცხადებს, რომ შექმნილი კრიზისი კიდევ ერთხელ აჩვენებს დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის ე.წ. დამოუკიდებლობის აბსურდულობას. მისი აზრით, ეს პრობლემები ქვემო ზარამაგში რუსეთში საკადრო ცვლილებების შემდეგ დაიწყო და მისი გადაჭრის გზაც არ ჩანს. ექსპერტთა აზრით, დე ფაქტო ხელისუფლებას ადგილობრივი ბაზრის შესავსებად ახალგორის გზის გახსნის ვარიანტი აქვს, მაგრამ ამას მოსკოვის დაუკითხავად ვერ აკეთებს. ცხინვალელი მეწარმეები ორკვირიანი ლოდინის შემდეგ აცხადებენ, რომ რუსეთის ფედერაციის საბაჟოზე შექმნილი პრობლემები თუ კიდევ გაგრძელდა, დე ფაქტო რესპუბლიკაში პროდუქტების დეფიციტი შეიქმნება. ზოგიერთმა მეწარმემ ამ რთული მდგომარეობიდან გამოსავალი მოძებნა: სატვირთო მანქანებიდან ტვირთებს მსუბუქ მანქანებსა და მიკროავტობუსებში ტვირთავენ და რუსეთის საბაჟოზე მათ, როგორც ხელბარგს, ისე ატარებენ. იქაური კანონმდებლობით, თითო მოქალაქეს 50 კილოგრამი ხელბარგის გადატანა შეუძლია, ამიტომ მეწარმეები ნათესავებისა და მეზობლების სიებით დადიან, 50-50 კილოგრამს აფორმებენ მათზე და ამ გზით შეაქვთ ცხინვალში რუსეთის პროდუქცია. ამასობაში ახალგორის გამშვები პუნქტი ჩაკეტილია, თბილისიდან ცხინვალამდე ტვირთის ჩატანა კი ბევრად მარტივად და შედარებით დაბალ ფასად შეიძლება, თუმცა, ბიბილოვის ხელისუფლება ამ ნაბიჯს ჯერ არ დგამს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე პარლამენტის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშის წარდგენისას საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის პრობლემასაც შეეხო. თალაკვაძის განცხადებით, ***საქართველო დღეს, ისევე, როგორც არაერთხელ თავის ისტორიაში, იმყოფება რთული გამოწვევების წინაშე. გრძელდება საქართველოს რეგიონების ოკუპაცია, რომლის შედეგებს ყოველდღიურად ვაწყდებით ადამიანების გატაცების, მკვლელობების, კონტრაბანდის, გადაადგილების შეზღუდვის, უკანონო პატიმრობის, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების აკრძალვისა და სხვა მძიმე დარღვევების სახით. „ჩვენი პასუხი არის ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ, საერთაშორისო მხარდაჭერის კონსოლიდაცია, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია, ეკონომიკური განვითარება, ენერგოუსაფრთხოება და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება. რუსულმა ოკუპაციამ ეს რეგიონები დააყენა ჰუმანიტარული კრიზისის, სამხედრო ბაზებად გადაქცევის, მომავლის არარსებობის წინაშე და ბერლინის კედლის დანგრევიდან 30 წლის შემდეგ, რუსეთი, სამწუხაროდ, საქართველოში ინარჩუნებს მავთულხლართების კედელს, რომელიც ხელოვნურად ყოფს ადამიანებს. ეს კედელი არის დროისა და საერთაშორისო სამართლის წინააღმდეგ. ჩვენს აფხაზ და ოს ძმებს აუცილებლად დავიბრუნებთ და ეს თაობა შეძლებს ქვეყნის გამთლიანებას“, — განაცხადა არჩილ თალაკვაძემ. მან პარლამენტის ტრიბუნიდან კიდევ ერთხელ მიმართა აფხაზ და ოს ხალხს. „მინდა, კიდევ ერთხელ მივაწვდინო ხმა ჩვენს აფხაზ და ოს თანამემამულეებს — თქვენ გაქვთ შესაძლებლობა, ისარგებლოთ ყველა იმ სიკეთით, რაც საქართველოში შევქმენით ქვეყნის განვითარებისა და ევროპული ინტეგრაციის გზით. შეგიძლიათ, იამაყოთ ამით და გამოიყენოთ ეს შესაძლებლობები“, —*** განაცხადა მან.

*ის, რაც დე ფაქტო ქვეყნებს აკლიათ უცხო ქვეყნებთან ურთიერთობა და საერთაშორისო სტატუსია. რაც მთავარია,*

/გაგრძელება გვ.3/

# „მეორედ მოსვლა" ქართულ პოლიტიკაში

„ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ"-ანტიკური ფილოსოფოსიის თვალსაჩინო წარმომადგენლის ეს სიტყვები დაავიწყდა (ან უარყო) ექსპრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს, რომელმაც პოლიტიკაში მეორედ მოსვლა დააანონსა. როგორც ჩანს, ფილოსოფოსი მარგველაშვილი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტობამ მას საკმაო პოლიტიკური გამოცდილება მისცა და „ერთსა და იმავე მდინარეში" მეორედ უფრო გაბედულად, სხვა ნავით შემოდის. პირველად ის „ქართული ოცნების" ნავში მჯდომი შემოვიდა ქართულ პოლიტიკაში და პრეზიდენტის სკამიც ბიძინა ივანიშვილის დახმარებით მოირგო. პრეზიდენტობის ვადა ბოლომდე ამოწურა, თუმცა, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებით თავი არავისთვის დაუმახსოვრებია, როგორც ამბობენ, პრეზიდენტის „სეკვესტრირებული უფლებით" მეტს ვერც შეძლებდა. იყო მისი რამდენიმე ხმაურიანი ფრაზა, რომელთა შორის განცხადებამ „მრავალფეროვან სექსთან" დაკავშირებით, ყველა მანამდე თქმული გადაფარა.

ფილოსოფია ყველანაირ დოგმატიზმს ებრძვის. გიორგი მარგველაშვილმა ჯერ „ქართული ოცნების" ერთფეროვნებას „შეუტია", რის გამოც ივანიშვილი გაანაწყენა, ახლა კი - ჰერაკლიტე ეფესელს. თუმცა, „ბრძოლაშიც არის ჰარმონია, დაპირისპირება და ჰარმონია განუწყვეტელ დაძაბულობას იძლევა და სწორედ ის არის რაციონალური კანონი, ანუ ყოველივეს მიზეზი"... ეს სწორედ ქართულ პოლიტიკაზეა მორგებული. ჰარმონიის რა მოგახსენოთ, მაგრამ ერთ მდინარეში ორჯერ შესვლის სჯერათ ქართველ პოლიტიკოსებს.

ამ ბოლო პერიოდში „მეორედ მოსვლა" იყო პროკურატურაშიც. საქართველოს გენერალურ პროკურორად ირაკლი შოთაძე ორწლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნდა. 18 თებერვალს, საქართველოს პარლამენტმა 82 ხმით არც ერთის წინააღმდეგ, ირაკლი შოთაძე გენერალური პროკურორის თანამდებობაზე დაამტკიცა. ის ამ პოსტს 6 წლით დაიკავებს.

ირაკლი შოთაძე გენერალურ პროკურატურას 2015 წლიდან ხელმძღვანელობდა. მან აღნიშნული თანამდებობა 2018 წლის 31 მაისს „ხორავას ქუჩის" საქმესთან დაკავშირებით, საკუთარი გადაწყვეტილებით დატოვა.

დრო მიდის, მიედინება მდინარე-



სავით. ზოგი პოლიტიკაში ბრუნდება, ზოგი-ციხეში. დიახ, ამ დღეებში საპატიმროში მეორედ შებრუნდა თბილისის ყოფილი მერი გიგი უგულავა. მას დიდი ოდენობით საბიუჯეტო თანხების მითვისება-გაფლანგვას ედავებიან. მისი მომხრეები ამტკიცებენ, რომ უგულავამ ამ დანაშაულისთვის სასჯელი უკვე მოიხადა, ხოლო განაჩენი ამჯერად მისი საქმის ყოფილმა ბრალმდებელმა გამოიტანა.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ „ევროპული საქართველოს" ერთი ლიდერი გიგი უგულავა თბილისის განვითარების ფონდის საქმეზე დამნაშავედ ცნო და მას სამი წლითა და ორი თვით პატიმრობა მიუსაჯა.

გიგი უგულავას სახელმწიფო ბრალდება თბილისის განვითარების ფონდიდან 48 მილიონი ლარის გაფლანგვას ედავება. ის ფაქტი, რომ ვილაცებზე დამზადდა პლასტიკური ბარათები, სადაც ჩაირიცხა 14 მილიონი, უბრალოდ იყო ამ გაფლანგვის ჩადენის ხერხი. დანარჩენი თანხა გამოტანილი იქნა პირდაპირ ბანკიდან მაღალი თანამდებობის პირების მიერ, ნაღდი ვალუტის სახით გამოტანილი იქნა ლიბერთი ბანკიდან და დახარჯული იქნა პარტიული მიზნებისთვის. შესაბამისად, ეს იყო და არის ალბათ უდიდესი კორუფციული ფაქტი, რაც ყოფილა საქართველოს ისტორიაში და რაზეც დღეს განაჩენია დამდგარი"- განაცხადა ირაკლი შოთაძემ.

გიგი უგულავა მატროსოვის ციხეში გადაიყვანეს, ხოლო მისმა ყოფილმა თანამებრძოლმა, ექსპრემიერმა და ყოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა სწორედ ეს საპატიმრო დატოვა. მან ციხის კართანვე პოლიტიკაში დაბრუნებისა და არსებული ხელისუფლების დამხობის „პირობა დადო".

მისი მუქარის სჯერათ, მაგრამ არ ეშინიათ ქვეყნის მთავრობაში. პრემიერმა გახარიამ განაცხადა, რომ ხელისუფლების დამხობის მუქარა დანაშაულის ნიშნებს შეიცავს და ყოფილ შსს მინისტრს ეს კარგად უნდა ახსოვდეს. სამარტოო საკანში გატარებულმა წლებმა მას სიმტკიცე შემატა, მაგრამ, როგორც ჩანს, რეალობის აღქმა შეუსუსტა.

ჩვენს ცხოვრებისეულ გამოცდილებაში დრო ყოველთვის ჰერაკლიტეს მდინარეს ჰგავს. „ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ, ვერც მოკვდავ ბუნებას მოიპოვებ ორჯერ ერთსა და იმავე მდგომარეობაში, რადგან ცვალებადობის უწყვეტობა და სისწრაფე გამუდმებით ფანტავს და ხელახლა კრებს მას". ცნობილი მოაზროვნეების ფრაზები რეალობაში აქტუალურობას არასოდეს კარგავენ, ისევე, როგორც ფილოსოფიური კატეგორიები. თბილისის მერმა კახი კალაძემ ვანო მერაბიშვილს „დროსა და სივრცეში დაკარგული" უწოდა, ხოლო სხვებმა - „კალენდრიდან ამოხეული ფურცელი".

ქართული პოლიტიკა არაორდინარულია, ის არცერთ კანონს არ ემორჩილება. ამიტომაც, ერთ მდინარეში ორჯერ შესვლის შესახებ სიბრძნე ყველაზე ჭრის, ქართველი პოლიტიკოსების გარდა. პოლიტიკის რეალისტური პრინციპი ოპოზიციურ ძალებს კარნახობს:„ არ არსებობს მუდმივი მტრები, არ არსებობს მუდმივი მეგობრები". ამიტომ, ლეიბორისტული პარტიის ოფისში განთავსებულ ოპოზიციურ ძალებს „ძველი მტრის ხატი" შეაშინებთ თუ ახალი მეგობრის შეძენის სურვილი გადაძალავს, მომავალი გვიჩვენებს.

ინგა შიოლაშვილი

---

# დეოკუპაცია დროის ამბავია...

*/დასაწყისი გვ.2/*

***მფარველი ქვეყნები მათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ფინანსურ და სამხედრო მხარდაჭერას უზრუნველყოფენ: რუსეთი აფხაზეთისა და დნესტრისპირეთისთვის, თურქეთი კი ჩრდილოეთ კვიპროსისთვის. მათ განვითარებას თავისი ფასი აქვს - მფარველი ქვეყანა მათ შიდა ურთიერთობაში აქტიურად ერევა. ქართველების, მოლდოველების და კვიპროსელი ბერძნებისთვის მთავარი ფაქტორი სწორედ მათი ქვეყნების ტერიტორიაზე ამ „მფარველი" ქვეყნების და მათი სამხედრო ძალების არსებობაა. ეჭვგარეშეა, რომ ცენტრალური გეოპოლიტიკური და უსაფრთხოების საკითხების გადაჭრის გარეშე, ეს კონფლიქტები არ გადაიჭრება. ეს აუცილებელი, თუმცა, არასაკმარისი პირობაა. თუ რუსეთი და თურქეთი თავიანთ დახმარებას უცებ შეწყვეტენ, დიდი ალბათობით, ეს ტერიტორიები საქართველოს, მოლდოვის და კვიპროსის რესპუბლიკის მოთხოვნებს ადვილად არ დანებდნებიან. ადგილობრივი მიზეზები და მნიშვნელოვანი იდეები, რომლებიც ამ კონფლიქტს უდევს საფუძვლად, არსად გამქრალა. ეს პატარა ქვეყნები, რომლებიც აფილირებულები არიან ან წარმოიქმნენ უფრო დიდი ქვეყნების დაშლისას, კონფლიქტის შედეგად წარმოიშვნენ და სწამთ უსამართლობის ნარატივის და იმის, რომ სახელმწიფოებრიობა ძნელბედობის ჟამს მოიპოვეს. თავიანთ მშობელ ქვეყნებს აგრესორებად, ხოლო მფარველ ქვეყნებს, დიდწილად, დამცველად აღიქვამენ.***

კონფლიქტის მეორე მხარის ეროვნული იდეაც ხელს უწყობს ამ ტერიტორიების არსებობის შენარჩუნებას. სამი აღიარებული ქვეყანა ერ-სახელმწიფოებად წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა, და საზოგადოების დიდი ნაწილი ნელთბილად არის განწყობილი ჩამოშორებულ ტერიტორიაზე მცხოვრები უმცირესობების რეინტეგრაციის მიმართ. კვიპროსსა და მოლდოვაში გამოკითხვები რეგულარულად აჩვენებს, რომ საზოგადოება გადაუჭრელ კონფლიქტებს



ისეთ დიდ პრობლემად არ თვლის, როგორც დაუსაქმებლობას ან დაბალ შემოსავალს. გამოკითხვების მიხედვით, საქართველოში, იმ ადამიანების რიცხვი, ვინც თვლის, რომ ტერიტორიული მთლიანობა მნიშვნელოვანი საკითხია, განახევრდა და 30% გახდა. ეს არ ნიშნავს, რომ საზოგადოებას ტერიტორიების გამოყოფა უნდა. პირიქით, ეს იდეა დიდწილად არაპოპულარულია. თუმცა, ეს აჩვენებს, რომ ორივე მხარე ჩიხშია შესული.

დე ფაქტო ქვეყნებში გასაგები იმედგაცრუება არსებობს იმის გამო, რომ ასი ათასობით ადამიანი ევროპაში, მრავალი გაგებით, მეორეხარისხოვან მოქალაქედაა ქცეული. ბევრი რამისთვის, რაც სხვა აღიარებული ქვეყნების მოქალაქეებისთვის მარტივი საქმეა, მათ ბრძოლა უწევთ, მაგ., საბანკო ტრანზაქციის განხორციელება, საზღვარგარეთ აღიარებული საერთაშორისო პასპორტით მოგზაურობა და უცხო უნივერსიტეტში სწავლა.

ახალი რეგულაციებისა და სტანდარტების შემოღებასთან ერთად, არაღიარებული ქვეყნების მოქალაქეების ჩართვა ძნელი ხდება ბევრ ისეთ საკითხში, როგორიცაა ვაჭრობა, საბანკო რეგულაციები, ბიომეტრული პასპორტები, ერასმუსის სქემა და უმაღლესი განათლება. დე ფაქტო ქვეყანაში ცხოვრების სირთულე კარგად ჩანს, როდესაც ინტერნეტ აპლიკაციების შევსებისას ადამიანებს სთხოვენ საცხოვრებელი ქვეყნის დასახელებას. თუ ჩამონათვალში აფხაზეთი ან დნესტრისპირეთი არაა, ადამიანს მაშინვე პრობლემა ექმნება. მსოფლიოს სულ უფრო მეტად ურთიერთშეკავშირებისა და ევროპის საზღვრების გახსნის ფონზე, ეს სიტუაცია კიდევ უფრო ანომალიური ჩანს.

თუმცა, ჩამოთვლილი პრობლემები, როგორც ამას არაღიარებული ტერიტორიები ამტკიცებენ, აუცილებლად „ადამიანის უფლებების" საკითხი სულაც არაა. არც გარე სამყაროა ყოველთვის პრობლემა. დე ფაქტო ქვეყნებმა ამ პრობლემის გადასაჭრელად სტატუსნეიტრალური ზომები უნდა გამოძებნონ. ახლახან, აფხაზეთმა კოოპერაციის მცდელობები შეაფერხა, რაც ბევრის აზრით, „თვითიზოლაციაა," ვინაიდან საერთაშორისო ჩართულობას აფერხებს. თუმცა, ძნელია უარვყოთ, რომ ცუდი ჯანდაცვისა და განათლების სისტემა, ან მოგზაურობის მწირი შესაძლებლობები, არაჯანსაღი საზოგადოების საფუძველია. ეს ნაკლოვანებები აზიანებს, როგორც არაღიარებული ქვეყნების მოსახლეობას, ისე მათ მეზობლებთან ურთიერთობებში ჩართულობის შესაძლებლობებს.

სიჯიუტე და სტატიკურობა უმოქმედობის გასამართლებელი მიზეზი ვერ იქნება. მაშინ, როცა კონფლიქტებით გამოწვეული სტატუსის პრობლემები გადაუჭრელი რჩება, დროებითი პოლიტიკის თვალსაზრისით, ორივეს - მშობელ ქვეყანას და საერთაშორისო საზოგადოებას შეუძლია, უფრო თამამი და ჭკვიანური ნაბიჯები გადადგას. ეს გაზრდილი ჩართულობა უფრო ნათელი უნდა იყოს და აკმაყოფილებდეს სამ კრიტერიუმს: მან უნდა გააუმჯობესოს ჩვეულებრივი ადამიანების ცხოვრება დე ფაქტო ქვეყნებში და მან არ უნდა მიანიჭოს უპირატესობა კონფლიქტის მეორე მხარეს მაცხოვრებლებს არაღიარებულ ნაწილში მცხოვრებ მოქალაქეებთან შედარებით.

***დაბოლოს, ომით რომ ვერ გადავწყვეტთ ამ საკითხებს და ჩვენს ტერიტორიებს ვერ დავიბრუნებთ, დიდი ხანია, ცხადია. სხვა გზები უნდა გამოვნახოთ.- მხოლოდ დიდი ეკონომიკური, ენერგეტიკული და სატრანსპორტო პროექტების განხორციელება საქართველოს ტერიტორიაზე ვერ და არ იქნება საკმარისი, რათა აღვადგინოთ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. აუცილებელია,შემუშავდეს ზუსტი, დროში გათვლილი სამოქმედო გეგმა და პატრიოტული სულისკვეთების მქონე პროფესიონალების მიერ გადადგმული ეფექტური ნაბიჯებით და საერთაშორისო მხარდაჭერით ეტაპობრივად უნდა აღდგეს სახელმწიფოს მთლიანობა, უსაფრთხოება და სუვერენიტეტი.***

**მოამზადა**
ელზა ხარაშვილმა

# კანონპროექტი – რა იცვლება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ?

***საქართველოში, ჯანდაცვის სამინისტროს 2015 წლის მონაცემების მიხედვით, 118 651 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია, რაც საქართველოს მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 3%-ს შეადგენს. ისიც ცნობილია, რომ ამ პირებისთვის დღემდე არ არსებობს სრულყოფილი გარემო, სადაც ისინი თავს დაცულად ან რეალიზებულად იგრძნობენ. ყოველდღიურ ცხოვრებაში არ შეექმნებათ პრობლემები, იმუშავებენ და სოციუმთან კონტაქტი ექნებათ, რაც დღესდღეობით არანაკლებ პრობლემურ თუ საყურადღებო საკითხს წარმოადგენს. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია მათზე მორგებული გარემო და ის ყურადღებაც, რომელსაც სახელმწიფო ინსტიტუციები მათ მიმართ უნდა იჩენდნენ ან იჩენენ.***

სულ ახლახანს, მთავრობამ აბსოლუტურად საჭირო და დროული კანონპროექტი დაამტკიცა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ. იმის გასარკვევად, თუ რას ითვალისწინებს ეს კანონპროექტი, იცვლება თუ არა რაიმე შშმ პირების სტატუსის განსაზღვრის წესთან დაკავშირებით, სამართალწარმოებისთვის რა შესაძლებობები გამოჩნდა შშმ პირებისთვის და რა მოლოდინებთან ასოცირდება ეს კანონპროექტი, იუსტიციის სამინისტროს სამართალშემოქმედების დეპარტამენტის კერძო სამართლის სამმართველოს მრჩეველს სალომე ნატროშვილს ვესაუბრეთ.

**სალომე, მოკლედ რომ გვითხრა, რას ითვალისწინებს შშმ პირთა უფლებების შესახებ მთავრობის მიერ დამტკიცებული კანონპროექტი?**

2014 წლის აპრილიდან ჩვენს ქვეყანას ვალდებულება აქვს, შეზღუდული შესაძლებლობის პირებისთვის გარემო ხელმისაწვდომი გახადოს. ცხადია, ცალკე აღებული უფლება მისი აღსრულების მექანიზმის გარეშე პრაქტიკულად არაფერია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოს სჭირდება ერთიანი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც შშმ პირებს მათი უფლებების რეალიზების საშუალებას მისცემს. რამდენიმე წელია, იუსტიციის სამინისტროში მიმდინარეობს აქტიური მუშაობა ასეთი საკანონმდებლო პაკეტის შესამუშავებლად. საკმაოდ ხანგრძლივი და რთული პროცესის შემდეგ, კანონპროექტი მთავრობის მიერ იქნება ინიცირებული საქართველოს პარლამენტში. პროცესი რთული იყო არა იმდენად მისი შინაარსობრივი, არამედ - პრაქტიკული მნიშვნელობიდან გამომდინარე. შშმ პირთა უფლებების შესახებ კანონპროექტი ძალიან მნიშვნელოვანი სოციალური აქტია, რასაც, როგორც ყველა სოციალურ აქტს, სჭირდება რესურსების, ფინანსების, კომპეტენციის მობილიზება. საბედნიეროდ, პირველადი მიზანი მიღწეულია და კანონპროექტი დამტკიცებულია მთავრობის მიერ. პაკეტი ითვალისწინებს, ყველა პოლიტიკური, სოციალური და კულტურული უფლების აღსრულების შესაძლებლობას და განსაზღვრავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის დისკრიმინაციის გარეშე და თანაბარ პირობებში ხელმისაწვდომობის ძირითად პრინციპებსა და მექანიზმებს.

**კანონპროექტის მიხედვით, შეიცვლება თუ არა შშმპ სტატუსის განსაზღვრის წესი?**

დიახ, ეს კანონპროექტის ერთ-ერთი უმთავრესი მიღწევაა, რამდენადაც დღეს სახელმწიფოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ აქვს პრაქტიკულად მხოლოდ სოციალური დაცვის ვალდებულება, რაც გამოიხატება ყოველთვიურ სოციალურ გასაცემელში. ეს კი, ყველა ძალიან კარგად ვიაზრებთ, რომ არის ძალიან დაბალი სტანდარტი. ბუნებრივია, ფრაგმენტულად, სხვადასხვა სფეროებსა და პროგრამებში შშმ პირების სპეციალური საჭიროებები გათვალისწინებულია, მაგრამ ეს უმცირესია. კანონპროექტის მიღების შემდგომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის განსაზღვრის წესი კარდინალურად შეიცვლება და ის დაეფუძნება არა დღეს არსებულ, სამედიცინო, არამედ -სოციალურ მოდელს. ძალიან მარტივად შევეცდები ავხსნა, რა განსხვავებაა ამ ორ მიდგომას შორის. შესაძლოა, ეს ახსნა ოდნავ უტრირებული იყოს, თუმცა საუკეთესო გზაა მისი ადვილად აღქმისთვის. სამედიცინო მოდელი ამბობს, რომ შეზღუდვები, რომელიც ახასიათებს სოციალურ გარემოს შშმ პირის მდგომარეობითაა გამოწვეული. ხოლო სოციალური მიდგომის შესაბამისად, გარემო უნდა იყოს ისეთი, რომ შეზღუდულმა შესაძლებლობებმა პირს არ შეუქმნას დაბრკოლებები დამოუკიდებელ, ღირსეულ ცხოვრებაში. ესე იგი, თავად გარემო უნდა მოერგოს ადამიანს და არა - პირიქით. აქვე ისიცაა ხაზგასასმელი, რომ სტატუსის განსაზღვრის ახალი მოდელის თანახმად, შესაძლებლობათა შეზღუდვის სპექტრი მნიშვნელოვნად გაფართოვდება და შშმ პირების რაოდენობა თითქმის 80%-ით გაიზრდება.



**სამართალწარმოებაში თუ იქნება რაიმე ცვლილება და როგორ იბრძოლებენ შშმპ თავიანთი უფლებებისთვის თუკი მათ წინაშე ამის საჭიროება დადგება?**

დიახ, ამ მიმართულებითაც მნიშვნელოვანი სიახლე შემოაქვს კანონს. კანონის მიღების შედეგად, შშმ პირების უფლებების დაცვის საშუალება ექნებათ სპეციალური მოსარჩელის სტატუსის მქონე ორგანიზაციებს. სპეციალური მოსარჩელის სტატუსის მქონე ორგანიზაცია არის დაინტერესებული მხარე, რომელიც ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებზე კანონიერი წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭების გარეშე იცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებს ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სასამართლოში. ეს ნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, თუკი შშმ პირს არ აქვს ან სურვილი ან რესურსი იმისთვის, რომ საკუთარი უფლებების დასაცავად მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოებს/სასამართლოს შშმ პირთა ინდივიდუალური თუ კოლექტიური ინტერესების დასაცავად, სპეციალური მოსარჩელე აღჭურვილი იქნება ამ უფლებამოსილებით და თავად შშმ პირის ან მისი მონაწილეობის გარეშე შეძლებს ყველა საჭირო მოქმედების შესრულებას.

**რა მოლოდინებთან არის დაკავშირებული ამ კანონპროექტის ამოქმედება? რა იქნება ამ კანონპროექტის მთავარი მიღწევა?**

კანონპროექტი მისი მასშტაბისა და ამბიციურობის გათვალისწინებით გრძელვადიან პერსპექტივას შეიცავს საიმისოდ, რომ მისი სრულად ამოქმედების შემდეგ, საბოლოო მიზანი - სრული ხელმისაწვდომობა იქნეს მიღწეული მხოლოდ უმცირესი გამონაკლისებით და ესეც იმ შემთხვევებში, თუკი სახეზე იქნება ობიექტური გარემოება, რომლის გამოც ცალკეული პირობების მორგება შშმ პირების საჭიროებებზე, უბრალოდ შეუძლებელი იქნება.

ქუქუნა ყანჩაშვილი

# ვენა - სიმდიდრისა და ტრადიციების ქალაქი

***ევროპაში მოგზაურობა გრძელდება. როგორც უნდა ვეცადოთ, გვერდს ვერ ავუვლით იმ ფაქტს, რომ საქმე საოცრად ძლიერ, დახვეწილ და განვითარებულ კონტინენტთან გვაქვს, ეს კონტინენტი კი თავს არამარტო თავისი მშვენიერებით, არამედ ისტორიითაც იწონებს. ისტორია, კი არანაკლებ მნიშვნელოვანია განვითარებისთვის, რადგან იმას რასაც აკეთებ ან მომავალში გააკეთებ, ნებსით თუ უნებლიეთ სწორედ წარსულ შეცდომებს ანდაც გამოცდილებას ეყრდნობა. ავსტრია, კერძოდ კი ვენა, ის ერთ-ერთი გამორჩეული და ვიტყოდი, მრავლისმთქმელი ქვეყანაა, რომელიც ამით ნამდვილად გაგაოცებთ. ამ სტატიაში მოგიყვებით, თუ რა არის ეს სათქმელი და როგორ ამბობს ის ამას.***

ქვეყანა №2 – ვენა, ავსტრია

გეტყვით, რომ ზამთარში ვენა საოცრად ცივი ქალაქია. თუ თოვლმა და ყინვამ მოგისწროთ, სასწრაფოდ უნდა შეიფუთოთ, თუმცა, ის სილამაზე, რაც ამ ქალაქში დაგხვდებათ, გაყინულ სხეულს ნამდვილად დაგავიწყებთ. ბუდაპეშტიდან (უნგრეთიდან) ვენაში მოხვედრა ძალიან მარტივად შეიძლება. ამისთვის კი რამდენიმე საშუალება არსებობს. ამ შემთხვევაში ავტობუსზე გეტყვით. ავტობუსით შიდა ტრანსფერი (გადაადგილება), თქვენი სურვილის შემთხვევაში, შეგიძლიათ წინასწარ დაჯავშნოთ. თუმცა გეტყვით, რომ თუ ადგილზე გადაწყვეტთ ბილეთის შეძენას, მისი ფასი 9 ევროდან იწყება და 40 ევრომდეც კი ადის. თუმცა, ეს დამოკიდებულია დროის იმ მონაკვეთზე, რომელშიც გამგზავრებას გადაწყვეტთ. შიდა ტრანსფერი ერთ-ერთი ის საშუალებაა, რომლითაც შეგიძლია ერთი გასროლით რამდენიმე კურდღელი მოკლა და შენც კმაყოფილი დარჩე და მოგზაურობაც უფრო მრავალფეროვანი გახადო. ერთ-ერთი სატრანსპორტო კომპანია, რომელიც ასეთ გადაყვანებს ემსახურება FLIX BUS - გერმანული კომპანიაა, რომელიც გთავაზობთ საქალაქო ავტობუსის მომსახურებას ევროპასა და შეერთებულ შტატებში. ის ეკუთვნის FlixMobility GmbH ჯგუფს, რომელშიც ასევე მოქმედებს FlixTrain da FlixCar. Flix bus-ს მარტივად, კომფორტულად და უსაფრთხოდ გადაჰყავს მგზავრები ერთი ქალაქიდან მეორეში.



წმ.სტეფანეს ტაძარი

მოგზაურობა დაახლოებით 3 საათი გრძელდება და დამღლელი არაა, რადგან თვითონ ტრანსპორტია მოწესრიგებული: კომფორტული სავარძლებით, უფასო WI-FI - თა და კეთილგანწყობილი პერსონალით.

ვენა მარტივი ქალაქია. მისი მონახულება ფეხითაც თავისუფლად შეგიძლიათ, შეგიძლიათ იაროთ დაუსრულებლად და ვერც კი მიხვდეთ, დრო როგორ გავიდა ან დაიღალეთ თუ არა. ქალაქი ამის საშუალებას არ მოგცემთ .ჩასვლისთანავე მიხვდებით, რომ ერთ დიდ წესრიგში მოხვდით. ავტობუსების სადგურიდან უახლოესი მეტროსადგური სულ რამდენიმე მეტრშია და მსგავსად ბუდაპეშტისა მეტროშივე შეგიძლიათ ბილეთების შეძენა გადასაადგილებლად. ვენაში საქალაქო ტრანსპორტი შედგება ავტობუსების, მეტროსა (U-bahn) და საგარეუბნო ელექტრომატარებლებისგან (S-bahn). თუ ერთი დღის განმავლობაში ბევრ სიარულს აპირებთ, 24 STUDEN — WIEN საუკეთესო ვარიანტია, რომელიც რვა ევრო ღირს. აქაც ისევე როგორც სხვა ევროპულ ქვეყნებში სასურველი ტრასპორტის გამოყენების შემთხვევაში საჭიროა ბილეთის ე.წ დაკომპოსტირება, ანუ ბილეთის ვალიდურობის დამოწმება. ეს იმ შემთხვევისთვის, თუ კონტროლიორი გაგაჩერებთ და ბილეთს მოგთხოვთ. შემთხვევები აქაც ინდივიდუალურია, ზოგ ტურისტს ხვდება კონტროლიორი, ზოგს არა, მაგრამ უმჯობესია არ გამოსცადოთ თქვენი ბედი და სამგზავრო ბილეთები წესრიგში გქონდეთ.

***ვენა, არამარტო ევროპის, არამედ მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს ქალაქად მიიჩნევა. ისტორიის თანახმად, აქ ვის არ გაუვლია: მონღოლები, ბარბაროსები, ოსმალები. დღეს კი ვენა ხელოვნების, ვალსის, გალერეების, მუზეუმებისა და დახვეწილი პარკების ქალაქია. ამასთან, მიუხედავად ომგამოვლილობისა (ისევე როგორც მთელი ევროპა), ვენა დღეს ისევ ატარებს იმპერიულ სულს და ეს მისი ქუჩების თითოეულ დეტალში იკითხება. ვენამ, რამდენადაც დაუჯერებლად უნდა ჟღერდეს, შეინარჩუნა დიდი დედაქალაქებისთვის დამახასიათებელი უამრავი ნიშან-თვისება: დიდებული ტაძრები, მდიდრული რეზიდენციები, თეატრები, საოპერო დარბაზები, ფართო გამზირები. სანამ ამ ყველაფერს საკუთარი თვალით იხილავდეთ, გეტყვით, რომ როგორც დღისითაა ვენა ლამაზი, მომხიბვლელი და დახვეწილი, ისეთივეა ის ღამით. ღამის ვენა ცალკე სანახაობაა. ვენაში ყოველი ნაბიჯი რაღაც ახლის აღმოჩენაა. ყოველი კუთხის ბოლოს ეკლესია, მორთული ეზოები, პარკები, კაფე-ბარებია (საღამოს ძირითადად მსგავსი ტიპის დაწესებულებები მუშაობს).*** 6 სთ-ის შემდეგ ყველა ძირითადი დაწესებულება იკეტება. ეს ნიშნავს, რომ ღამის ცხოვრება მთელი ძალით გიზიდავთ და გეპატიჟებათ. გეტყვით, რომ ღამის ვენა არც ისეთი ხმაურიანია, როგორადაც შეიძლება რომ წარმოიდგინოთ. ღამის ცხოვრებაც კი თავის გზას ნახულობს და ხმაური ცენტრალური მოედნებიდან თუ ქუჩებიდან მისგან შედარებით მოშორებულ ადგილებში ინაცვლებს. ღამის ვენაში შეგიძლიათ ქუჩები, მოედნები მოინახულოთ და ადგილობრივი სამზარეულოც დააგემოვნოთ: შნიცელი, შტრუდელი, საოცრად მსუბუქი ლუდი, უამრავი სახეობის ძეხვეული და, რა თქმა უნდა, ვენური ყავა. ვენური სამზარეულო ერთადერთია მსოფლიოში, რომელსაც ქალაქის სახელი ქვია და არა ქვეყნის.

***აი, სულ სხვა რამაა ვენა დღისით. პირველი „აუცილებლად სანახავი ადგილების“ რიგებში წმინდა სტეფანის ტაძარი აღმოჩნდა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ის ვენის ნამდვილი სიმბოლოა. იმ დიდებულებისგან რაც მას აქვს, პირველად ემოციის გამოხატვაც კი ვერ შევძელი, მხოლოდ ვიდექი და ვუყურებდი ამ დიდებულ უჩვეულოდ გოთიკურ ტაძარს, რომელსაც საოცარი მიზიდულობა გააჩნია. მის სახურავზე ვენისა და ავსტრიის გერბებია გამოსახული, ხოლო მაღალ კოშკებში სხვადასხვა ზომის ზარების სამრეკლოებია. ამ ღირსშესანიშნაობის დათვალიერება შორიდანაც შეგიძლიათ, მაგრამ უმჯობესია თუ შიგნიდანაც ნახავთ. ქალაქისა და მთელი ავსტრიის ეს სიმბოლო მე-12 საუკუნეში ააგეს. აქ სამი ორღანია, ყველაზე დიდს 10 ათასი საყვირი აქვს. ამჟამად ისინი რესტავრირების პროცესშია, თუმცა მათი დიდებულების აღქმა ხარაჩოებშიც კია შესაძლებელი. ფაქტობრივად, მის წინ მდებარე მოედანი (შტეფანსპლაცი) ტურისტების თავმოყრის ადგილს წარმოადგენს და ყველაფრის ერთდროულად გაკეთების საშუალებას იძლევა:*** აქვე შეგიძლიათ წაიხემსოთ, შეიძინოთ სუვენირები, საჩუქრები, დატკბეთ ვენური შოკოლადის გემოთი, დააგემოვნოთ უგემრიელესი ვენური ყავა და კიდევ უამრავი სხვა რამ. მიუხედავად იმისა,

*/გაგრძელება გვ.8/*

# „ვეტერინარია სერიოზულ პასუხისმგებლობას მოითხოვს"...

*დედოფლისწყარო აგრარული რაიონია. ოდითგანვე აქ მესაქონლეობას მისდევდნენ. მოგვიანებით ვეტერინარია საჭირო პროფესიად იქცა, რათა განეკურნათ მარჩენალი საქონელი და ეხსნათ ისინი სიკვდილისაგან. ეს ხდებოდა გასულ საუკუნეებში. დღეს კი, მიუხედავად იმისა, რომ ფერმერული მეურნეობები კვლავ ფუნქციონირებს და შინაური ცხოველების ვაქცინაცია თუ მკურნალობა ისევ აუცილებლობას წარმოადგენს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, და არა მარტო აქ, ვეტერინარების სერიოზული დეფიციტია. ექიმი-ვეტერინარის პროფესია ქართველ ახალგაზრდებში არაპოპულარული და არაპრესტიჟულია. არადა, იმისთვის რომ ჯანსაღი პროდუქტი მივიღოთ და ჩვენი თუ ჩვენი შვილების ჯანმრთელობაზე ვიზრუნოთ, აუცილებელია გვყავდეს კარგი სპეციალისტები, რომლებიც არაჯანსაღ საკვებს ბაზარზე სარეალიზაციოდ არ შემოუშვებენ.*



ვეტერინარული მედიცინა მეცნიერებათა სისტემაა, რომელიც შეისწავლის ცხოველთა დაავადებებს, მათი თავიდან აცილებისა და მკურნალობის მეთოდებს, ცხოველთა პროდუქტიულობის გაზრდის საკითხებს, შეიმუშავებს ადამიანის დაცვის ღონისძიებებს ცხოველისა და ადამიანის საერთო დაავადებებისგან-ვკითხულობთ სახელმძღვანელოებში.

საქართველოში კარაბადინის სახით შემორჩენილ ქართულ ხელნაწერებში, რომლებიც ძირითადად XVII-XIX საუკუნეებს განეკუთვნება, აღწერილია ცხოველთა სხვადასხვა დაავადება, მათი მკურნალობის მეთოდები და საშუალებები. საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ გამოვლენილი და აღწერილია ცხოველის სამკურნალო 47 ქართული ხელნაწერი წიგნი, რომელთაგან 35 ეხება ცხენის დაავადებათა მკურნალობას. ერთ-ერთი წიგნის ფრაგმენტებში ძაღლის მოშენება, დაგეშვა და მკურნალობაა აღწერილი. 9 ხელნაწერში ფრინველის მოშენება და დაავადების მკურნალობის საკითხები. 2 ხელნაწერი ვეტრეცეპტურაა: ვახტანგ VI-მ, ბაგრატ ბატონიშვილმა, იოანე ბატონიშვილმა და სხვებმა დიდი წვლილი შეიტანეს ცხოველის სამკურნალო ხელნაწერი წიგნების შედგენასა და გავრცელებაში. 1818 წელს ბაგრატ ბატონიშვილმა პეტერბურგში, კერძო სტამბაში, საკუთარი სახსრებით გამოსცა თავისივე ქართულად ნათაგმნი და შეკრებილი წიგნი „სამკურნალო ცხენთა და სხვათა პირუტყვთა". ეს იყო პირველი ქართული ვეტერინარული წიგნი.

**XIX საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში პირველი ვეტ-სამკურნალო დაწესებულება გაიხსნა, რითაც დაიწყო ბრძოლა ეპიზოოტიებთან. 1877 წელს საქართველოში მუშაობდა 4 ვეტექიმი და 20 ვეტფერშალი.** 1907 წელს თბილისში დაარსდა ამიერკავკასიაში პირველი ვეტლაბორატორია, რომელმაც საქართველოში მსხვილფეხა საქონლის პასტერელოზი. 1913 წელს აქვე მომზადდა ჯილეხის (ციმბირული წყლული) საწინაალმდეგო „ცენკოვსკის ვაქცინა". 1918 წელს მ.ფარცვანიძის ინიციატივით ქუთაისში დაარსდა მსხვილფეხა საქონლის ჭირის საწინაალმდეგო სადგური, რომელიც 1919 წელს სოფელ ტაბახმელაში გადმოიტანეს. შემდეგ შეიქმნა საკავშირო დაქვემდებარების საქართველოს ბიოკომბინატი, 1928 წელს თბილისში გაიხსნა სავეტერინარო ტექნიკუმი, 1932 წელს დაარსდა საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტი. XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში ვეტერინარია საგრძნობლად განვითარდა. **2002 წელს, საქართველოში იყო 639 ვეტ დაწესებულება. იქიდან მოყოლებული, საქართველოში ყოველწლიურად მიმდინარეობდა სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა დიაგნოსტიკური გამოკვლევა, პროფილაქტიკური აცრა, დეჰელმინთიზაცია, სამკურნალო-პროფილაქტიკური დამუშავება, მეცხოველეობის პროდუქტებისა და საკვების ექსპერტიზა.**

2005 წლის დეკემბერში მიიღეს კანონი „სურსათის უვნებლობის და ხარისხის შესახებ". სოფლის მეურნეობის სამინისტროში შეიქმნა სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის სამსახური (ახლანდელი სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტო), რასაც მოჰყვა ვეტერინარული რეფორმა. შედეგად ძირეულად შეიცვალა ადრე არსებული ვეტდეპარტამენტის სტრუქტურა. ვეტერინარული მომსახურება ძირითადად გახდა ფასიანი, ცხოველთა დაავადებების მკურნალობა და პროფილაქტიკა ტარდება ცხოველის მეპატრონის ხარჯით.



გიორგი ამირიძე ჯერ ძალიან ახალგაზრდაა. ის თავისი თაობის სრულფასოვანი წარმომადგენელია, ისეთივე გატაცებები აქვს, როგორც მის თანატოლებს, მაგრამ პროფესიული არჩევანი განსხვავებული გააკეთა. მის თანატოლებში „არაპრივილეგირებული" და „არაპოპულარული" ვეტერინარის საკმაოდ კარგი კარიერა თავბრუდამხვევი სისწრაფით გაიკეთა, ისე, რომ ამას თავადაც ვერ წარმოიდგენდა. ამაზე გიორგი თვითონ მოგვიყვება:

**რამ განაპირობა პროფესიული არჩევანი?**

ფერმერის ოჯახში გავიზარდე და ბავშობიდან მქონდა შეხება ამ სფეროსთან, რამაც განაპირობა ამ პროფესიისადმი სიყვარული და დასახული მიზნების განხორციელება, იყო ცუდი მომენტებიც ჩემს ცხოვრებაში. მაგ. ვუყურებდი როგორ კვდებოდა ჩემი ოჯახის მეურეობაში ცხოველი და არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა მის გადასარჩენად. ვფიქრობ, ყველაზე დიდი როლი ამ ფაქტორმა ითამაშა და სამწუხარო შემთხვევების დამსახურებაა დღეს ვეტერინარ ექიმად რომ ვმუშაობ. 2013-2016 წლებში ვსწავლობდი ამ პროფესიას, 2015 წელს გავემგზავრე ესტონეთში ხელოვნური განაყოფიერების შესასწავლად. 2017 წელს გავიმარჯვე პროექტ „აწარმოე საქართველოში", რომლის დახმარებითაც შევიძინე ვეტერინარული - ქირურგიული იარაღები, რაც ძალიან მეხმარება ჩემი საქმიანობის წარმატებით შესრულებაში, 2019წელს გავიმარჯვე პროექტ „ემპარდში" და მათი დახმარებით შევიძინე ცხოველთა ექოსკოპია, უცხო სხეულის დეტექტორი და ღორის მაკეობის დეტექტორი. 2016 წლიდან 2019 წლამდე „შირაქი+"-ს მთავარ ვეტერინარად ვიმუშავე.ვეტერინარია საკმაოდ სერიოზულ პასუხისმგებლობას მოითხოვს, იყო კარგი ვეტერინარი ექიმი, ეს მართლაც რთულია, თუმცა ვაღიარებ, რაც დრო გადის, მით უფრო ვაფასებ ჩემს პროფესიას. დღეს საქართვლოში ძალიან სწრაფად იზრდება ფერმერული მეურნეობები, შემოდის დიდი რაოდენობით მსხვილი რქოსანი პირუტყვი, მაგრამ არ არიან საკმარისი რაოდენობის სპეციალისტები, ეს კი დიდ პრობლემას წარმოადგენს ჩვენი ქვეყნისთვის. მე პირადად ბედნიერი ვარ ჩემი არჩევანით, საქმიანობით და ცხოვრების წესით. დღეს მაქვს იმის შესაძლებლობა რომ მინიმუმამდე დავიყვანო ფერმერის დანაკლისი, რატომ უნდა იკვლებოდეს იძულებით ცხოველი როდესაც სულ უმნიშვნელო, ქირურგიული ჩარევით შესაძლებელია სიცოცხლე შევუნარჩუნოთ მას.

**ვეტერინარია დღეს საკმაოდ მოთხოვნადი, თუმცა არაპრესტიჟული პროფესიაა. შენ რას იტყოდი ამ ტენდენციაზე?**

ვეტერინარია დღეს მართლაც რომ მოთხოვნადი პროფესიაა, თუმცა ნაკლებად პრესტიჟული. ჩემი თაობის უმრავლესობა სხვადასხვა პროფესიას ეუფლება. არ ვიცი, როგორ განვითარდება ამ მხრივ მოვლენები, თუმცა კარგს არაფერს ველი, რასაკვირველია ადამიანმა უნდა აკეთოს ის რაც უყვარს, სიამოვნებს და ცხოვრების წესად აქვს ქცეული, მაგრამ ასე მიტოვება ამ პროფესიის არ მიმაჩნია სწორად

**როგორ უყურებენ ამ პროფესიას ევროპაში?**

ვეტერინარიას გაცილებით მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან ევროპაში, ახლახანს ვიყავი ესტონეთში, ქ.ტარტუში გადამზადების განხრით. ვაღიარებ მოხიბლული ვარ მათი შემართებით ძალიან ბევრ სტუდენტ შევხვდი ადამიანებს რომლებიც სიამოვნებით სწავლობენ ამ პროფესიას. მიჭირს სიტყვებით გადმოცემა ისეთი განვითარებული და წარმატებული ქვეყანაა ამ კუთხით. აი მათთვისკი ეს პროფესიაა პრესტიჟული და დიდ წარმატებასაც აღწევენ.

ინგა შიოლაშვილი

## დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფი(ლაგი)დამოუკიდებელ ნაბიჯებს დგამს

დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფმა, მმართველი საბჭოს თავმჯდომარის ანა ბენაშვილის ინიციატივით, CEEN-ის მიერ, პროგრამის ,,წყალი, სანიტარია და ჰიგიენა"-ფარგლებში გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში მიიღო მონაწილეობა და მოიპოვა დაფინანსება.

კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის მიერ, პროგრამის - ,,წყალი, სანიტარია, ჰიგიენა"- ფარგლებში დაფინანსებული პროექტი: ,,არბოშიკის სამუსიკო სკოლის მოსწავლეების ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა წყალმომარაგებით და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებით", თავისი არსით სოციალურია და ბავშვების უსაფრთხოების დაცვას ემსახურება.



პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოები 2019 წლის იანვარში დაიწო და მალე დასრულდება. შენობაში უკვე შეყვანილია წყალი და მოწყობილია საკანალიზაციო ქსელი, თითქმის დასრულდა ტუალეტის ფართის კეილმოწყობამოწყობა, მალე დამონტაჟდება დამატებითი წყლის რეზერვუარი უწყვეტი წყალმომარაგების უზრუნველსაყოფად, სამუშაოების დასრულების შემდეგ კი ჩატარდება Wosh-- ტრენინგი ბავშვებისთვის და პედაგოგებისთვის.

შეგახსენებთ, რომ პროექტის მიზანია წყალმომარაგების და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფა სკოლაში, ბავშვების ცნობიერების ამაღლება და სანიტარიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება და ამ გზით მათი ჯანმრთელობის უსაფრთხოების დაცვა.

პროექტი ასევე ემსახურება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული რეგლამენტის ნორმების (საქართველოს მთავრობის დადგენილება №58 ;15.01.2014; დადგენილება №485 27.10.2017 ). შესრულების უზრუნველყოფას და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების შესრულებას და შესაბამისად, ეროვნული პროგრამის ,,წყალი, სანიტარია, ჰიგიენა" განხორციელების ხელშეწყობას.

პროექტის საინფორმაციო მხარდაჭერას უზრუნველყოფს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი გაზეთი ,,შირაქი".

ინგა შიოლაშვილი,

**დედოფლისწყაროს „ვოშსაბჭოს" ხელმძღვანელი**



# კიბოს მსოფლიო დღე

# სიმსივნე განაჩენი არ არის...

*ცხოვრების არაჯანსაღი წესი, კერძოდ თამბაქოს მოხმარება, არაჯანსაღი კვება, დაბალი ფიზიკური აქტივობა და ა.შ. კიბოს პროვოცირებას იწვევს. კიბოს პრევენციის პირველი ნაბიჯი საზოგადოების კიბოს მაპროვოცირებელი რისკის ფაქტორების შესახებ ინფორმირება და ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდაა. მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ცხოვრების წესისა და კიბოს განვითარების კავშირის თაობაზე, უბიძგებს ადამიანებს გააკეთონ სწორი არჩევანი ცხოვრების ჯანსაღი წესის სასარგებლოდ. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ ცხოვრების ჯანსაღი წესით,კიბოს შემთხვევათა მესამედის თავიდან არიდებაა შესაძლებელი.*

*დღესდღეობით, ჩვენ სტიგმასთან დაკავშირებული გამოწვევების დამარცხება შეგვიძლია. მრავალ კულტურულ გაერთიანებასა თუ საზოგადოებაში კიბო ტაბუირებულ თემად აღიქმება. კიბოთი დაავადებული პაციენტი ხშირად სტიგმას და დისკრიმინაციას აწყდება, რისი შეწყვეტაც დაავადების საჯაროდ აღიარებით,ზრუნვის და მხარდაჭერის მოთხოვნითაა შესაძლებელი. თუმცა, იმ საზოგადოებაშიც კი, სადაც კიბო არ წარმოადგენს ტაბუირებულ თემას, კიბოთი დაავადებული პაციენტი შესაძლოა მაინც დისკრიმინირებული იყოს, თანატოლებისა და მეგობრებისგან იზოლირებული. მხარდამჭერი საგანმანათლებლო კამპანიები, როგორიცაა კიბოს პრევენციის მსოფლიო კვირეული, შესაძლოა ძლიერი პლატფორმა იყოს სტიგმის მინიმალიზაციისა თუ კიბოს მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების შეცვლის საქმეში. ყველამ ერთად, ჯანდაცვის პროვაიდერებმა, სამუშაო დაწესებულებებმა, სკოლებმა, ერთობლივი ძალისხმევით უნდა დავამარცხოთ კიბოსთან ასოცირებული სტიგმა და გამოვუცხადოთ დაავადებულებს საჯარო მხარდაჭერა.*

კიბოსთან დაკავშირებული მითების დამსხვრევაში მასმედიას განსაკუთრებული როლი ენიჭება, რაც ინფორმაციის გავრცელების, საგანმანათლებლო კამპანიების ჩატარების და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების გზით შეუძლია განახორციელოს. ხელისუფლების, საზოგადოების, მედიის ერთობლივი ძალისხმევით შესაძლებელია კიბოს შესახებ მითების, მცდარი შეხედულებების და მიდგომების გაფანტვა, ჩვენი სკოლებისთვის ჯანმრთელი გარემოს უზრუნველყოფა. სკოლის ადმინისტრაციამ უნდა მოახდინოს სკოლების ჯანსაღი საკვებით და ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების ნორმით გათვალისწინებული საათობრივი დატვირთვის უზრუნველყოფა. სამუშაო დაწესებულებებში უნდა შემუშავდეს ცხოვრების ჯანსაღი წესის სპეციალური სამოტივაციო პროგრამები. მაგალითად, როგორიცაა თამბაქოს კვამლისგან 100%-ით თავისუფალი გარემო და სხვ. აუცილებელია, რომ არჩვენი ცხოვრების ჯანსაღი წესის სასარგებლოდ გავაკეთოთ. ჩვენ შეგვიძლია გავაუმჯობესოთ ონკოლოგიური სერვისების ხელმისაწვდომობა კიბოთი დაავადებული პირების მკურნალობის შედეგების და პა-



ციენტთა სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, კრიტიკულად აუცილებელია ონკოლოგიური სერვისების ხელმისაწვდომობაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა. ეფექტური და ხარისხიანი ონკოლოგიური მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობა გათვალისწინებული უნდა იყოს კიბოს კონტროლის ეროვნული სტრატეგიების ფარგლებში. კიბოს კონტროლის ნაციონალური გეგმა უნდა ითვალისწინებდეს მულტიდისციპლინური მიდგომის ხელმისაწვდომობას. კიბოს მართვის მნიშვნელოვანი კომპონენტებია: **კიბოს მკურნალობის ეფექტური მეთოდები, მაღალი ხარისხის მედიკამენტები, პალიატიური მზრუნველობა.** ამ ჯაჭვში ყველა რგოლი თანაბრად მნიშვნელოვანია: დაავადების ადრეული გამოვლენა და დროული მკურნალობა, ონკოლოგიურ სერვისებზე თანაბარი ხელმისაწვდომობა და ონკოლოგიაში მაღალკვალიფიციური კადრის არსებობა. ასევე მნიშვნელოვანია პაციენტთა და ოჯახების დაცვა ფინანსური კრიზისისგან, რადგან ონკოლოგიური მკურნალობა და მზრუნველობა დაკავშირებულია დიდ ფინანსურ ხარჯებთან. საყოველთაო ჯანდაცვას და სოციალური დაცვის სხვა მექანიზმებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ონკოლოგიური სერვისების ხარვეზების გამოსასწორებლად.შეგვიძლია მოვახდინოთ კიბოს მკურნალობასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის მუდმივი ადვოკატირება



პაციენტზე ზრუნვის მთელი ციკლის მანძილზე. თითოეულ ადამიანს აქვს უფლება თანაბრად ისარგებლოს ამ შესაძლებლობით მიუხედავად მისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა თუ ეკონომიკური მდგომარეობისა. შეგვიძლია გავაძლიეროთ ონკოლოგიაში მომუშავე სამედიცინო პერსონალის ცოდნა და უნარები. ხარისხიანი ონკოლოგიური მომსახურების თვალსაზრისით ჯანდაცვის პროვაიდერთა არასაკმარისი განათლება ყველაზე მეტად გავრცელებული და მწვავე პრობლემაა. სასიცოცხლოდ აუცილებელია ინვესტიციების ჩადება უწყვეტი პროფესიული განვითარების საქმეში, რათა ჯანდაცვის მუშაკებს ჰქონდეთ სათანადო ცოდნა და გამოცდილება პაციენტთა საუკეთესო მომსახურებისთვის დაავადების მთელი ციკლის მანძილზე. ეს გულისხმობს ჯანდაცვის პროფესიონალთა კვალიფიკაციის და შესაძლებლობების გაძლიერებას იმისთვის, რომ მოხდეს: **ზოგიერთი ტიპის სიმსივნის ნიშნების ადრეული ამოცნობა; ადრეული დეტექციის ღონისძიებათა სათანადო ჩატარება; ქიმიოთერაპიის, რადიოთერაპიის, ქირურგიული ჩარევის და კიბოს მკურნალობის სხვა მეთოდების უვნებელი და ჯეროვანი გამოყენება; პალიატიური მზრუნველობის, ტკივილის და შფოთვის მართვის უზრუნველყოფა.** ონკოლოგიაში დახელოვნებული სამედიცინო პერსონალი აღჭურვილი უნდა იყოს ისეთი უნარებით, ცოდნითა და კომპეტენციით, რაც დააკმაყოფილებს ინდივიდთა და თემების საჭიროებებს კიბოს მკურნალობის მთელი ციკლის მანძილზე. ჩვენ შეგვიძლია ორგანიზაციების მობილიზება პროგრესის დასაჩქარებლად. კიბოს გლობალური ტვირთის შესამცირებლად უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მხარდამჭერი ორგანიზაციების მოძიებას და მობილიზებას, რათა გავზარდოთ შესაძლებლობები განათლებითა და ტრენინგებით. **მაგალითად, კიბოს კონტროლის საერთაშორისო კავშირი, წარმოადგენს რა არაგადამდებ დაავადებათა ალიანსის დამფუძნებელ წევრს, ერთობლივად და ორგანიზაციათა ქსელის სახით მუშაობის უპირატესობებს აღიარებს.** ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არაგადამდებ დაავადებათა წინააღმდეგ მდგრადი, ერთობლივი და გლობალური ქმედების მიზნით. **არაგადამდებ დაავადებათა ალიანსი საშუალებას აძლევს კიბოს წინააღმდეგ მებრძოლ სხვადასხვა დონის ექსპერტებს ერთობლივი ძალისხმევით გლობალური ჯანმრთელობისა და განვითარების დღის წესრიგში დააყენონ კიბოსა და სხვა არაგადამდები დაავადების კონტროლის საკითხი. სხვადასხვა დონის ექსპერტების ქსელების შექმნა ასევე უზრუნველყოფს ცოდნის გაზიარების კარგ შესაძლებლობას.**

კიბოს წინააღმდეგ მოქმედ მსოფლიო თემს (ორგანიზაციებს) შეუძლია თავისი ქსელის მობილიზება იმისთვის, რომ: შეამციროს კიბოს გლობალური ტვირთი, ხელი შეუწყოს საყოველთაო თანასწორობას და მოახდინოს კიბოს კონტროლის საკითხის ინტეგრირება მსოფლიო ჯანმრთელობისა და განვითარების დღის წესრიგში. შეგვიძლია შევცვალოთ პოლიტიკა, კანონმდებლობა და რეგულაციები, რათა ეფექტურად იქნეს გამოყენებული კიბოს რისკების შესამცირებლად. ეს საკითხი მოიცავს თამბაქოს მოხმარების, ალკოჰოლის საზიანო გამოყენების, არაჯანსაღი კვების და გარემოს მავნე ზემოქმედების რისკების შემცირებას. თამბაქოს დაბეგვრა განიხილება როგორც მნიშვნელოვანი მარეგულირებელი ინტერვენცია, რითაც მთავრობებს შეუძლიათ შეამცირონ არაგადამდებ დაავადებათა მთავარი რისკის ფაქტორები. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის გათვლებით, თუ ყველა ქვეყანა გაზრდის თამბაქოზე გადასახადებს 50%-ით, მსოფლიოში 49 მილიონი ადამიანით ნაკლები მწეველი იქნება, რაც აგვაცილებს მწეველობით გამოწვეულ 11 მილიონ სიკვდილის შემთხვევას. პროდუქციის მარკირებით, რეკლამირებისა და სპონსორობის რეგულირებით, შესაძლებელია არაჯანსაღი საკვების და სასმელის ზემოქმედებით გამოწვეული რისკების შემცირება. ეროვნულ დონეზე რეგულაციებით შესაძლებელია აუცილებელ ონკოლოგიურ მედიკამენტებზე (ტკივილგამაყუჩებლების ჩათვლით) და პაციენტების ხარისხიან მოვლაზე ხელისაწვდომობის გაუმჯობესება.

ჯანმრთელობის მსოფლიო ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, სადაც მოცემულია მკაფიო რეკომენდაციები პალიატიური ზრუნვის ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად.ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნდა რეკომენდირებული ესენციური მედიკამენტების ჩამონათვალი, სადაც მოცემულია 16 ახალი მედიკამენტი. ადგილობრივ, ეროვნულ და გლობალურ დონეებზე პოლიტიკის ცვლილების ეფექტური ადვოკატირებით შესაძლებელია კიბოს რისკის ფაქტორების შემცირება და აუცილებელ მედიკამენტებზე და ხარისხიან ონკოლოგიურ ზრუნვაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება. აუცილებელია მხარდაჭერა როგორც ონკოლოგიური პაციენტების, ასევე მათი ოჯახებისაც. მხარდაჭერა მრავალმხრივი შეიძლება იყოს. ამაში უნდა ჩაერთონ: **პარტნიორები, მეგობრები, ოჯახი, კოლეგები, ჯანდაცვის პროფესიონალები და მრჩევლები, შესაძლოა შეიქმნას თვითდახმარების ან მხარდაჭერის ჯგუფები.** მხარდაჭერის ჯგუფებს დიდი მნიშვნელობა აქვთ დაავადებულის ემოციური სტრესის მოხსნის საკითხში. მდგომარეობის გაუმჯობესებაში გარკვეული როლი კოლეგებთან საუბარსაც აქვს. როგორც წესი, კიბოთი დაავადებულ პირებზე მზრუნველებს (ოჯახის წევრები, პარტნიორები) აღნიშნულზე არასაკმარისი ინფორმაცია გააჩნიათ და ხშირად, თავიანთი საქციელით, პირიქით, ხელსაც კი უწყობენ დაავადებული ადამიანის იზოლაციასა და საზოგადოებისგან მარგინალიზაციას.

გამოწვევების მიღებას და პრობლემების აღიარებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება დაავადებულთა დახმარებისა და ცხოვრების ხარისხის ამაღლების მიზნით. ზოგიერთი ადამიანისთვის თანადგომა აუცილებელია დიაგნოზის დასმის შემდგომ პერიოდში. გრძნობებზე გულახდილად საუბარი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი გამოსავალი წყვილებისთვის, რომლებსაც შეცვლილი აქვთ ურთიერთობები და აქვთ კიბოთი გამოწვეული ფიზიკური თუ ემოციური ცვლილებები. მეგობრებს შეუძლიათ შეასრულონ დიდი როლი ემოციური, სოციალური და პრაქტიკული თანადგომის უზრუნველყოფით. ისინი მზად უნდა იყვნენ გაატარონ დრო დაავადებულ ადამიანთან და მოუთხრონ საკუთარი გამოცდილების შესახებ, რადგან კიბოთი დაავადებული ადამიანისთვის ძალზე მნიშვნელოვანია გამხნევება და თანადგომა. ონკოლოგიური პაციენტები, რომლებიც იტარებენ პალიატიურ მკურნალობას განსაკუთრებით საჭიროებენ ტკივილის, სტრესისა და სხვადასხვა სიმპტომის შემსუბუქებას.

ბევრი ონკოლოგიური პაციენტისთვის, სხეულის შესახედაობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა წარმოადგენს კონტროლის აღდგენის და ნორმალურობის ხარისხის შენარჩუნების მნიშვნელოვან გზას. ხელმისაწვდომობამ მხარდაჭერის სპეციალიზებული სერვისებისადმი მათი ფიზიკური შესახედაობის (გარეგნობის)მართვისთვის, როგორიცაა პარიკის ან პროტეზის ტარება, შეიძლება გააუმჯობესოს თვითშეფასება და ცხოვრების ხარისხი. კონსულტაციის მიღება ჯანდაცვის პროფესიონალისგან და აქტივობის შენარჩუნება რეგულარული ფიზიკური ვარჯიშით წარმოადგენს სხვა საშუალებებს ონკოლოგიური პაციენტებისთვის, რათა ჩამოუყალიბდეთ ნდობა (გამბედაობა) იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გამოიყურებიან და გრძნობენ თავს. სწორი მხარდაჭერით, კიბოთი მცხოვრებმა ადამიანებმა შეიძლება კვლავ იგრძნონ თავი ძველებურად, მიუხედავად იმისა, რომ სამუშაოზე დაბრუნება კიბოს მკურნალობის შემდეგ შეიძლება გამოწვევა იყოს ბევრი ადამიანისთვის, უკან დაბრუნება სამუშაო ადგილზე მნიშვნელოვანი ფაქტორი შეიძლება აღმოჩნდეს როგორც პირადი, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.

**კიბოთი დაზარალებული ადამიანები შეიძლება წახალისდნენ იმის ცოდნით, რომ როდესაც სამსახურში დაბრუნდებიან, დიდი ალბათობით, იპოვნიან სამუშაო ადგილიზე ისეთ გარემოს, რომელიც მზადაა დაეხმაროს მათ იმ გამოწვევებთან ადაპტირებაში, რასაც ავადმყოფობის გამო შეეჯახებიან. კიბოთი დაავადებული ადამიანებისთვის, რომლებსაც სამსახურში დაბრუნება სურთ, ასევე მნიშვნელოვანია საკუთარი უფლებების გაგება. ბევრ ქვეყანაში, დამსაქმებლებს აქვთ იურიდიული ვალდებულება, რომ გონივრული კორექტივები შეიტანონ სამსახურში კიბოთი მცხოვრები ადამიანებისთვის და უზრუნველყონ, რომ ისინი არ იყვნენ არახელსაყრელ მდგომარეობაში სხვა თანამშრომლებთან შედარებით. სწორი მხარდაჭერით, კიბოთი მცხოვრებ ადამიანებს შეუძლიათ წარმატებით დაბრუნდნენ სამსახურში.**

*ადამიანებს, რომლებიც გამომჯობინდნენ კიბოთი დაავადების შემდეგ, შეუძლიათ იმედი მისცენ მათ, ვისაც ახლახან დაუსვეს კიბოს დიაგნოზი. თავისი გამოცდილების გაზიარებით, კიბოთი მცხოვრებ ადამიანებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ ცოდნის ამაღლებაში კიბოს პრევენციის და ადრეული გამოვლენის მნიშვნელობის შესახებ. რაც მთავარია, მათ ასევე შეუძლიათ შეამცირონ შიში გამოწვევების მიმართ, რომლთა წინეშეც აღმოჩნდებიან ყოველდღიურ ცხოვრებაში დაბრუნებისას.ისტორიების გაზიარებას მედიის, საზოგადოებრივი ქსელების და მხარდამჭერი ჯგუფების საშუალებით შეუძლია ცნობიერების ამაღლება კიბოს სრული გავლენის შესახებ, როგორც ემოციურ, ისე ფიზიკურ კეთილდღეობაზე. საკუთარი ისტორიების მოყოლით, კიბოდამარცხებულ ადამიანებს შეუძლიათ სხვების დახმარება სიჩუმის დარღვევით კიბოს თემის გარშემო და შიშის და სტიგმის შემცირება, რომელიც ხშირად აკავებს სხვებს ზრუნვის და მხარდაჭერის ძიებისგან.*

ექიმთან წასვლა ნიშნავს ადრეულ პრევენციას, პრევენცია კი ნიშნავს სიცოცხლეს.

*მოამზადა*
ხათუნა ბენაშვილმა

# ანტარქტიდას თითქმის სამი სან-ფრანცისკოს ხელა აისბერგი მოწყდა – რას მოუტანს დედამიწას ოკეანის წყლის გათბობა?

**რაც დრო გადის მსოფლიოში გლობალური დათბობა მეტად კრიტიკულ ზღვარს აღწევს. უკვე საგრძნობლად შესამჩნევია ცვლილებები ბუნებაში, შეიცვალა ჰავა და გაიზარდა სტიქიური მოვლენების რაოდენობა. გათხელებულია ოზონის შრე და მომატებულია დაავადებებისა და ინფექციების რისკი. დაბინძურებისა და ნარჩენების გამო განადგურებულია და კიდევ ნადგურდება ნიადაგი.**




ყინული დნება ყველგან, ამ პირობებს ვერ უძლებენ სიცივეს მოყვარული ცხოველები და ფრინველები, რაც მათი პოპულაციის შემცირებასაც იწვევს. მხოლოდ გასულ წელს, ბუნებამ არაერთი ნიშანი მისცა ადამიანს. მხოლოდ ავსტრალიასა და ბრაზილიაში უზარმაზარი-0ხანძრებით გადამწვარი ტყეების გახსენება რად ღირს. ამ მინიშნებების მიუხედავად, ადამიანები იმავე სიხშირით დადიან ავტომობილებით და ზრდიან დაბინძურების ხარისხს. გლობალური დათბობა და პლანეტის რადიკალური სახეცვლილება ყველა ჩვენი ქმედების შედეგია.წელს საფრთხის ქვეშ დადგა ყველაზე ქარიანი, ცივი და მშრალი კონტინენტი ანტარქტიდა, სადაც უახლესი მონაცემებით ტემპერატურამ რეკორდულად +18.2 გრადუს ცელსიუსს მიაღწია, რითიც მოიხსნა 2015 წლის მარტში დაფიქსირებული რეკორდი - 17,5 გრადუსი. ეს მაჩვენებელი ანტარქტიდის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ წვერზე მდებარე არგენტინულ კვლევით სადგურ "ესპერანსაზე" დააფიქსირეს და მკვლევარების თქმით, ტემპერატურის ეს მკვეთრი მომატება კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს რისკს, რომლის წინაშეც დგას სამყარო. მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის განცხადებით, ტემპერატურას თავიანთ არქივში ისინიც გადაამოწმებენ, თუმცა საქმე აშკარად რეკორდთან გვაქვს.

**9 თებერვალს ევროპის კოსმოსური სააგანეტოს თანამგზავრმა დააფიქსირა ანტარქიდის დასავლეთ ნაწილში ყინული უზარმაზარი მასა როგორ მოწყდა კონტინენტს. მოყოლებული 2019 წლიდან მეცნიერები აკვირდებიან ანტრაქტიდის ამ ნაწილს, სადაც ყოველდღიურად ჩნდება ახალ-ახალი ბზარები. ამჟამად მოწყვეტილი ყინულის ფართობი შეადგენდა 120 კვადრატულ მილს, რაც სულ ცოტა სამი სან-ფრანცისკოს ტერიტორიის ტოლია. ყინულის მასა პატარ-პატარა აისბერგებად სწრაფად დაიშალა, მათ შორის ყველაზე დიდს უწოდეს B-49.**

ყველასთვის ცნობილია, რომ ანტარქტიდა ერთ-ერთი მთავარი ყინულის საფარია პლანეტისთვის და ის მსოფლიოს მტკნარი წყლის 90 % მოიცავს. მკვლევარების განცხადებით, გათბობის ტენდენცია დასავლეთ ანტარქტიდის უზარმაზარ მყინვარულ საფარს აზიანებს და ყინულის მასიური დნობა სანაპირო ზოლების დაზიანებასაც იწვევს.



**როგორც უკვე აღვნიშნე, საფრთხე არამხოლოდ ანტარქტიდას, არამედ მთელ პლანეტას ემუქრება. კუნძულ გრენლანდიაზე ყინულის ფენები უფრო და უფრო ჩქარა დნება, ამის მიზეზი კი ყინულის მასის ქვეშ გამდინარი ოკეანის თბილი წყალია. კვლევებით დადგინდა, რომ ოკეანის წყალი მზისგან იმაზე მეტად თბება, ვიდრე აქამდე თბებოდა. ეს წყლები, რომელიც დიდი მყინვარების ქვევით მიედინება, გრენლანდიის ყინულვანი ფენების დნობას იწვევს.**

ჟურნალში "Nature Geoscience" გამოქვეყნდა კვლევა, რომელის ფარგლებშიც კუნძულ გრენლანდიაზე ერთდროულად რამდენიმე ტერიტორიას იკვლევდნენ. მათ ერთ-ერთ საკვლევ ტერიტორიას "ყინულის ენა" დაარქვეს. "ყინულის ენა" ეს არის ოკეანის თბილი წყლისა და გამდნარი ყინულისგან მიღებული წყლის შენაკადი, რომელიც დროდადრო გრენლანდიის სხვა ყინულებსაც ადნობს.

კვლევის პირობებში მეცნიერები ოკეანეში სპეციალური მოწყობილობით წყლის ტემპერატურას ზომავდნენ და მალევე ყინულის დნობის ერთ-ერთ მიზეზსაც მიაკვლიეს. როგორც აღმოჩნდა, 2019 წელს ოკეანის ტემპერატრამ 0.75 ცელსიუსით მოიმატა. ოკეანის თბილი წყალი ყინულებისკენ მიედინება, რომელიც შემდეგ დნობას იწყებს.

კუნძულ გრენლანდიის ყინულის დნობა მსოფლიო ოკეანის წყლის დონის მატებასაც იწვევს. კვლევებით დგინდება, რომ ის მართლაც 1992 წლის შემდეგ, საგრძნობლამ მომატებულია და ყინულის დნობის სიჩქარეც ყოველ წელს მატულობს. ამ ტემპით ყინულის დნობამ შესაძლოა მალე, 24 ფუტით გაზარდოს წყლის დონე.

ყოველდღიურად გრენლანდიაზე 11 მილიარდი ზედაპირული ყინულის ფენა დნება, რაც დაახლოებით 4.4 მილიონი ოლიმპიური აუზის ექვივალენტია.

**ოკეანის თბილი წყალი პირდაპირი განაჩენია ბუნებისთვის. წყლის ტემპერატურის მომატება გავლენას ახდენს თევზებზე და წყლის სხვა ცხოველებსა და მცენარეებზე. შესაძლოა, თბილმა წყალმა სულ მალე პლანეტის ბევრ ადგილას შეამციროს თევზჭერა და უარყოფითად იმოქმედოს წყალქვეშა ცხოვრებაზე. მოსახლეობამ დასახმარებლად საჭირო ზომებს უნდა მიმართოს, ეს ჯაჭვური რეაქცია ჯერ ოკეანის წყლის გათბობით იწყება, თუმცა შემდგომში პლანეტის სხვადასხვა მნიშვნელოვან ადგილსაც დააზიანებს. არის ვარაუდი, რომ გლობალური დათობა საბოლოოდ, ნახევარი პლანეტის დატბორვას გამოიწვევს.**

## სამტრედიაში ცოლის მკვლელობაში ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა

სამტრედიაში მომხდარ მკვლელობაში ბრალდებულ გიგა აბრალავას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

ცოლის მკვლელობის საქმეზე გადაწყვეტილება ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ ნიკოლოზ მარგველაშვილმა გამოიტანა.

მოსამართლის განცხადებით, სასამართლოსთვის წარმოდგენილი მტკიცებულებები საკმარისი იყო პატიმრობის შეფარდებისთვის. მისი თქმით, აღკვეთის ღონისძიების მსუბუქი ფორმის შეფარდების შემთხვევაში, დანაშაულის განმეორების რისკები არსებობდა.

პატიმრობას მოითხოვდა ბრალდების მხარე. დაკავებულის ადვოკატის თქმით, ეთანხმებიან სასამართლოს გადაწყვეტილებას, თუმცა არ იზიარებენ ვარაუდს მოწმეებზე ზეგავლენის, მტკიცებულებების განადგურების და ქვეყნის დატოვების შესახებ, რადგან დაკავებულს განზახული ჰქონდა თავად ჩაბარებოდა პოლიციას.

წარდგენილ ბრალს სრულას ეთანხმება დაკავებული გიგა აბრალავა.

მომდევნო პროცესი 8 აპრილს გაიმართება.

ცნობისთვის, 18 თებრევალს, სამტრედიაში, ახალგაზრდა ქალი იუსტიციის სახლში განქორწინების მიზნით მივიდა, რა დროსაც მას ქმარი დახვდა და დანით ჭრილობა მიაყენა. დაკავებულ მამაკაცს ბრალი სისხლის სამართლის 11 პრიმა 109-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისათვის, ასევე სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 381-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისათვის აქვს წარდგენილი.

**მონატრება**

## გია ხარაშვილი



ჩემო გია, მოვიდა 22 თებერვალი, შენი დაბადების დღე -პირველად უშენოდ! ჩემთვის ეს დღე უსაზღვროდ ტკივილიანი და მუდამ თვალცრემლიანი იქნება. არასოდეს დამავიწყდება, სანამ დაბადების დღეზე გეტყოდი, გილოცავ-მეთქი,წინასწარ სიცილით მადლობას მიხდიდი ხოლმე.

22 თებერვალს მოვალთ ჩვენ ყველა შენს სამუდამო სასუფეველთან უდიდესი გულისტკივილით და მოგილოცავთ დაბადების დღეს.

გია, გილოცავ, ჩემო ალალმართალო, სპეტაკო და უღალატო ადამიანო. ყოველდღე და ყოველწუთს ვთხოვ უფალს, ნათელში ამყოფოს შენი სული და მოგიშუშოს დარდიანი გული.

ახლა მივხვდი, რომ უზომოდ მყვარებიხარ და უსაზღვროდ მენატრები...

*„შენ მე სიხარული წამართვი,*
*უშენოდ არაფერი მინდა,*
*თურმე რა ძლიერ მყვარებიხარ,*
*ჩემო ბიძაშვილო, გია!"*

**შენი მამიდაშვილი**
თამრიკო და **მონატრებული ახლობლები**

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრი თანაგრძნობას უცხადებს ნინო და ზაზა ლოლაშვილებს დედის

ლილი მამაიშვილი-ლოლაშვილის

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები: დათო გონაშვილი, ზაირა ალუღიშვილი, სეილან ლაპიაშვილი, თამრიკო ყანდაშვილი, ლამარა ბაიაშვილი, იაგო ყოჩიაშვილი, თამრიკო მაზანაშვილი, ბეგო მაჩაბლიშვილი, თინიკო ქადაგიძე, არსენა გიგაური, მარინა პოპიაშვილი, გულო პოპიაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ იზო პოპიაშვილს- შვილის, მანანა პოპიაშვილს - მეუღლის, მარინა პოპიაშვილს- ძმის, სალომე, პაპუნა, ბაჩანა პოპიაშვილებს - მამის

ზურა (ზურიკო) პოპიაშვილის

გარდაცვალების გამო.

# ვენა – სიმდიდრისა და ტრადიციების ქალაქი

*/დასაწყისი გვ.4/*

რომ ვერ შევძელით მთავარ ტაძარში ორღანის მოსმენა, ამის საშუალება სხვა, შედარებით პატარა ტაძარმა მოგვცა. სრულიად შემთხვევით, იმ მომენტში უბრალოდ ტაძარში შესულებს ორღანის საუცხოო ხმამ მიიპყრო ჩვენი ყურადღება. თუნდაც რამდენიმე წუთით რომ ჩამოჯდეთ და იმ დაუვიწყარ ხმას მოუსმინოთ, დამერწმუნეთ, ის თქვენი გონებიდან არასოდეს ამოვა. ორღანი ყველაზე ამოუცნობი საკრავია, რომლის ხმასაც ადამიანი ყველანაირი პრობლემებიდან გამოჰყავს და ავიწყებს თუ რა ხდება სამყაროში. მაგრამ აუცილებლად გეტყვით რა ხდება მოცარტის, ბეთჰოვენის, შუბერტის, და სხვათა და სხვათა მუსიკალურ სამყაროში. ეს სამყარო კი საერთოდ არ ჰგავს არაფერს, სრულიად განსხვავებული და უნაკლოა, წუნს რომ ვერ უპოვნის ყველაზე დიდი კრიტიკოსიც კი. ტაძრიდან სრულიად კულტურულშოკმიღებულები გამოვედით და ამას დღემდე ვერ ვივიწყებ. უბრალოდ, ვიჯექი და ვხვდებოდი, რომ სიტყვა სრულყოფილება, დიდებულება და დახვეწილობა სწორედ იქ იმ ადგილს, იმ ხმას და იმ გარემოს ეკუთვნოდა. ეკუთვნოდა მუსიკის დიდებულ წარმომადგენლებს და მის შემსრულებლებს. სწორედ ამიტომ, არავის გაუკვირდება, თუ ვიტყვით, რომ მსოფლიო მუსიკალური ცენტრის სახელი, ვენამ უკვე დიდი ხანია დამსახურებულად მოირგო და მას დღემდე ამაყად ატარებს. სწორედ ამ სტატუსის გამამყარებელი საბუთია ვენის ოპერის შენობაც, რომელიც დღეს არამარტო ავსტრიის, არამედ მსოფლიოს უდიდესი მუსიკალური თეატრია. ის რეკორდსმენია სამუშაო დღეების მიხედვით (285 დღე წელიწადში). ბილეთები არც ისე იაფია (300ევრო), მაგრამ ღონისძიების დაწყებამდე ერთი საათით ადრე შესაძლებელი ხდება ფეხზე დასადგომი ბილეთების 3-4 ევროდ შეძენა.

***ვენა ძვირფასი სასახლეების ქალაქიცაა. ამიტომაც არის, რომ აქ დაახლოებით150-მდე სასახლეა. რამდენად დამაჯერებლი ვიქნები არ ვიცი, მაგრამ გეტყვით რომ თითოეული მათგანი ერთმანეთზე უკეთესია. რამდენიმე მათგანზე მოგიყვებით, რომლებმაც აღმაფრთოვანა: ჰოფბურგების სასახლე ერთ-ერთი ყველაზე პირველი და უძველესი სასახლეა, რომელიც შემდგომ დიდებული და პომპეზური ჰოფბურგის საფუძვლად იქცა. ჰოფბურგი ჰაბსბურგთა ძლევამოსილი დინასტიის ზამთრის რეზიდენცია იყო, 1945 წლიდან კი იგი ავსტრიის პრეზიდენტის რეზიდენციაა. დღეს აქ თავმოყრილია მუზეუმები, ციხე-დარბაზები, მინისტრების კაბინეტები. ამ სასახლის ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულებაა ჰაბსბურგების საგანძური, სადაც თავმოყრილია იმპერიის ყველა რელიკვია. ამბობენ, თუ ეს სასახლე არ გინახავს, არ გინახავს ვენაო. შენბრუნის სასახლე იმპერატორების საგვარეულოს — ჰაბსბურგთა დინასტიის საზაფხულო სახლი გახლდათ. შენბრუნი 1441-ოთახიანი სასახლეა, რომლის ბაღებში 2 კილომეტრამდე სიგრძის ლაბირინთიცაა. მიუხედავად ამდენი ოთახისა, სასახლეში სამზარეულო არ არსებობდა. კერძები სხვა შენობაში მზადდებოდა და შემდეგ მოსამსახურეებს მოჰქონდათ მონარქებისთვის. მონარქიის დაცემის შემდეგ, 1918 წელს შენბრუნი ახლად დაარსებული ავსტრიის რესპუბლიკის მფლობელობაში გადავიდა და მუზეუმად იქცა. დღეს სასახლე ვენის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ტურისტულ ადგილს წარმოადგენს. ფიზიკურად წარმოუდგენელია იმის აღწერა, თუ რა სიდიდის ბაღია გადაშლილი ამ სასახლის წინ. მიდიხარ და გგონია, რომ იკარგები. შენბრუნის სასახლე ფაქტობრივად გაგრძელებაა 1752 წელს დაარსებული ვენის ზოოპარკისა, რომელიც მსოფლიოში უძველეს და ულამაზეს ზოოპარკად არის მიჩნეული. იგი ექსპერტებმა (Anthony Sheridan) ევროპის საუკეთესო ზოოპარკად აღიარეს. მეორეც, ხანდაზმული ასაკის მიუხედავად, ის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო და იშვიათი სახეობის ცხოველებით მდიდარ ზოოპარკად რჩება. აქ ჯერ კიდევ არის შემორჩენილი და საკმაოდ კარგადაა შენახული ბაროკოს სტილში აშენებული შენობები. ვენის ზოოპარკი ცნობილია უზარმაზარი პანდებით, ველური ჯუნგლების ორსართულიანი სექციით და ვარდისფერი ფლამინგოებით. 46 ჰექტარზე არსებული უმდიდრესი ზოოპარკი საოცარ შთაბეჭდილებებს ტოვებს მნახველზე.*** თუკი ბავშვებთან ერთად მიხვალთ, შეგიძლიათ სხვადასხვა აქტივობებითაც გაართოთ ისინი: ხატვა, მაკეტების დამზადება, კონტაქტური ზოოპარკი და ა.შ. არის ასევე ზაფხულის და ზამთრის ვოლიერები, რომლებიც ძლიერი სიცივის ან სიცხის დროს გამოიყენება და სრულად არის მიახლოებული ცხოველების ბუნებრივ საცხოვრებელ პირობებთან. გულხადილი ვიქნები და გეტყვით, რომ ბილეთი იაფი ნამდვილად არ ღირს - მისი ფასი 20 ევროა და იცვლება იმის მიხედვით თუ ვისთან ერთად მოგზაურობთ, ბავშვებისთვის ეს ფასი შედარებით ნაკლებია.

კიდევ ერთი რამ, რითიც ვენა აუცილებლად მოგხიბლავთ ეს მუზეუმებია. მუზეუმების რაოდენობა არც მეტი არც ნაკლები 100-ს ითვლის და ყველას სხვადასხვა ეფექტი აქვს დამთვალიერებელზე. ერთ-ერთი გამორჩეული მათ შორის კი ბელვედერის მუზეუმია. ბელვედერის მუზეუმს ორი ნაწილი აქვს - ზედა და ქვედა ბელვედერი. ტურისტებს ძირითადად ზედა ბელვედერი იზიდავს. ხელოვნების მოყვარულები კი მათ რიცხვში ნამდვილად იქნებიან, რადგან სწორედ ზედა ბელვედერშია დაცული ცნობილი მხატვრის გუსტავ კლიმტის ასევე ცნობილი ტილო „კოცნა“. გარდა ამისა, აქ დაცულია ავსტრიის ყველაზე მნიშვნელოვანი ხელოვნების ნიმუშები შუა საუკუნეებიდან დღემდე. შენობა 4 სართულს მოიცავს და შესულია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის სიაში. ბელვედერში შესასვლელი ბილეთი არც აქაა იაფი და ერთ სრულწლოვან ადამიანზე ის 24 ევროს შეადგენს. თუ არ გსურთ ან ვერ გაწვდით ამ თანხის გადახდას, სრულიად უფასოდ შეგიძლიათ მისი შემოგარენის დათვალიერება. დამერწმუნეთ, ეს არანაკლები სანახაობაა. უდიდესი ბაღები, ბაღებში განთავსებული აუზები, თვითონ მუზეუმის პანორამა არანაკლებ სიამოვნებას მოგანიჭებთ.



ბელვედერი

ვენის კიდევ ერთი ღირსშესანიშნავობა რატუშის მოედანია. როგორც ბევრ ევროპულ ქალაქში, ვენაში რატუშის გვერდით მდებარე მოედანს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მოქალაქეების ცხოვრებაში. თუმცა თუ ძველ დროში აქ მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს უცხადებნდნენ ხალხს, ახლა ბევრი ამ მოედანს მხოლოდ ტრადიციული საშობაო ბაზრობის მოწყობის ადგილად აღიქვამს - ალბათ, ყველაზე დიდი და საზეიმო მთელს დასავლეთ ევროპაში. ჩემი მოგზაურობა იმ პერიოდს დაემთხვა, როდესაც საახალწლო სეზონი ნელ ნელა მიდიოდა, მაგრამ მაინც იგრძნობოდა ის ჯადოსნური და ამაღელვებელი გარემო, რაც შობას მოაქვს.წარმოიდგინეთ დიდი მოედანი, რომლის წინაც მდებარეობს პარკი და იმ პარკში მთელს სივრცეზე ყინულის, სხვადასხვა ფორმის, მიხვეულ მოხვეული გზები, რომელზეც დიდი თუ პატარა, ახალგაზრდა თუ მოხუცი ერთნაირად ერთობა, სრიალებს და ამისგან უდიდეს სიამოვნებას იღებენ. მე, რომელიც უბრალოდ მაყურებელი ვიყავი და რომელმაც სრიალის ანაბანაც კი არ ვიცოდი, სრიალის სურვილიც კი გამიღვიძა. ეს უბრალოდ ძალიან ლამაზი სანახაობაა. მეორე, შვარცენბერგპლაცის მოედანი კი ვენის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ადგილი და ყველაზე ცნობადი მოედანია, სადაც კარლსკირხეს ეკლესია (Karlskirche), ვენის მუზეუმი, სამხატვრო სახლი და ტექნიკური უნივერსიტეტი მდებარეობს. მოედნის ცენტრალური ნაწილი დიდ შადრევანს უკავია, მის შემოგარენში დასასვენებელი პარკი და მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ გმირთა მემორიალია განთავსებული (წარწერები რუსულ ენაზე), რაც ჩემთვის ცოტა მოულოდნელი აღმოჩნდა.

**მოგზაურობისას, თუკი ერთხელ მაინც გაიფიქრებთ, რომ ვენა მოსაწყენი და ზედმეტად პომპეზური ქალაქია, გირჩევთ შემდეგ მისამართს ეწვიოთ - Kegelgasse, 36-38, სადაც ვენის ყველაზე ავანგარდული ღირსშესანიშნავობა — ჰუნდერტვასერის სახლი მდებარეობს. ფერადი ფანჯრები, უსწორმასწორო კედლები, სახურავზე მიწა, ბალახი და ხეები, უსწორმასწორო, ერთი შეხედვით „დეფორმირებული“ ასფალტი — ეს შენობა გაუდის ნამუშევრებს მოგაგონებთ, თუმცა საკუთარი, ინდივიდუალური ხასიათი აქვს, არასტანდარტულია და შეიძლება ითქვას სრულიად ამოვარდნილიც კი ვენური ხასიათიდან. ეს ნაგებობა 1983-1986 წლებში აშენდა ფრიდენსრეიჰ ჰუნდერტვასერის პროექტით და ის მსოფლიოს არც ერთ სხვა შენობას არ ჰგავს -სახლს არ აქვს ერთი სწორი ხაზიც კი. სამწუხაროდ, ავსტრიის პარლამენტის შენობა დაკეტილი აღმოჩნდა, რადგან შენობა რესტავრაციის პროცესშია და მხოლოდ მცირე დეტალების დანახვაა შესაძლებელი, მაგრამ როგორც ცნობილია, იგი აშენებულია 1874—1883 წლებში და იგი ვენის ერთ-ერთ შედევრად მიიჩნევა. ცოტა მოგვიანებით მის წინ ათენა პალადას დახვეწილი სკულპტურა დაიდგა. იმედია, მისი სრულყოფილად ნახვის საშუალება კიდევ ბევრ ჩვენგანს მიეცემა. ავსტრიის ცენტრში კიდევ ერთი გამორჩეული მუზეუმი დგას, რომელში შებიჯებისთანავე თავს ტროპიკულ ტყეში იგრძნობთ.** უამრავი საუცხოო ჯიშის მცენარე და ყვავილი ამის საშუალებას ნამდვილად მოგცემთ. პეპლების სახლი ეს არის ტროპიკული სამოთხე შუაგულ ვენაში. მხოლოდ 7 ევრო და თქვენ ჯუნგლებში მოხვდებით, სადაც ასობით უზარმაზარი ფერადი პეპელა გადაგიფრენთ. მათი შეხება არ შეიძლება, რადგან თითოეული მათგანი იშვიათი ჯიშის წარმომადგენელია და ძალიან უფრთხილდებიან. თუ მაინც გადაწყვეტთ შეხებას, ძალიან ფრთხილად უნდა იყოთ. ეს შესანიშნავი ადგილი ნებისმიერი ასაკის ადამიანისთვის საინტერესოა თავისი უნიკალური აკვარიუმებით, სადაც შეგიძლიათ იხილოთ, თუ როგორ იქცევა მუხლუხო პეპლად. გამოსვლისას კი სხვადასხვა სუვენირები, საჩუქრები, ღია ბარათები შეგიძლიათ შეიძინოთ, რომელიც ძირითადად ხელნაკეთია და ფასიც მისაღებია (2 ევროდან).

***ზიგმუნდ ფროიდის,ხელოვნების ისტორიის, ალბერტინას მუზეუმი, მოცარტის სახლი, მადამ ტუსოს ცვილის ფიგურების სახლი, ვენის ტყე, სიის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება. ვენა სიმდიდრის, დახვეწილობის, სრულყოფილების სიმბოლოა თავისი დიდებული სასახლეებით, მუზეუმებით, ქუჩებით, დიდი პარკებითა თუ უბრალოდ, ხალხით. იკითხავთ, საიდან, როგორ, რანაირად, ქვეყანა, რომელიც მრავალჯერ დადგა განადგურების პირას, ქვეყანა, რომელმაც ომები გამოიარა, დამპყრობლებს გადაურჩა, როგორ განვითარდა და რით გვაოცებს? სწორედ განვითარებისადმი სწრაფვა, სწორი მიდგომები, ქვეყნის სიყვარული, წესრიგი ყველასა და ყველაფერში, აზროვნება, მენტალიტეტი - ეს ყველაფერი ერთად რომ აიღოთ და შეაერთოდ, სწორედ განვითარების გარკვეულ მოდელს მიიღებთ. ამ შემთხვევაში ვენურ მოდელს.*** ეს ერთგვარი შოკია, კულტურული, საზოგადოებრივი წესრიგის, განსხვავებული ცხოვრებისა და განსხვავებული გარემოს შეგრძნების შოკი. ვენა შეიძლება შეფასდეს, როგორც გერმანული საიმედოობის, სლავური ზომიერებისა და სამხრეთის ელეგანტურობის ერთობლიობად. ვენა - ესაა „ოცნებების“ „მუსიკის ქალაქი“. მას ყველაფერი აქვს, რასაც ახალგაზრდა ადამიანი შეიძლება ეძებდეს. ***საუკუნეების განმავლობაში საღვთო რომის იმპერიის ცენტრი, საიმპერატორო დედაქალაქი და ჰაბსბურგების რეზიდენცია, რომელმაც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ თავისი მოსახლეობის თითქმის მეოთხედი დაკარგა, დღესდღეობით ყველაზე მოთხოვნადი ქალაქია მსოფლიოში, რომელიც იმედებს არასდროს გაგიცრუებთ!***

ქუქუნა ყანჩაშვილი

## კარგია,როცა ადამიანი პროფესიონალია

ვარ ინდმეწარმე. ქედების ზონაში გახსნილი მაქვს სასურსათო პროდუქტების პატარა მაღაზია. გასული წლის გაზაფხულზე შემამოწმა საგადასახადო ინსპექციამ და იმხელა თანხა დამარიცხა, რომლის გადახდას, სახლ-კარიც რომ გამეყიდა, ვერ შევძლებდი. მითხრეს, რომ მიმემართა ქ. დედოფლისწყაროში შ.პ.ს. „ლაშარი+“-სთვის, კერძოდ, გენადი შიოლაშვილისთვის. დიდი ყოყმანის შემდეგ იგი დამთანხმდა და ხელი მოჰკიდა ჩემს საქმეს. მისი დიდი გამოცდილების და პროფესიონალიზმის წყალობით, შემოსავლების სამსახურის და ფინანსთა სამინისტროს დავების საბჭოში არაერთი დავის შემდეგ, შემიმცირდა დარიცხული თანხის დიდი ნაწილი. დანარჩენზე კვლავ გრძელდება დავა. აღნიშნულზე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო გენადი შიოლაშვილს და მის თანამშრომელს ნინო ფიროსმანიშვილს. მინდა, ყველა მეწარმემ იცოდეს, რომ რაიონში გვყავს კარგი პროფესიონალი საგადასახადო და საბუღალტრო საკითხებში. კიდევ ერთხელ ულრმესი მადლობა მათ.

ირმა ბაღლიაშვილი.

## ამინდი — დედოფლისწყარო

| | ორშაბათი 24.02 | | სამშაბათი 25.02 | | ოთხშაბათი 26.02 | | ხუთშაბათი 27.02 | | პარასკევი 28.02 | | შაბათი 29.02 | | კვირა 1.03 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| | 8° | 5 ° | 6° | 0 ° | 3 ° | 1 ° | 7 ° | 3 ° | 11 ° | 5 ° | 14 ° | 6 ° | 14 ° | 5 ° |

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ქუქუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.